ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 16 – 17 დეკემბერი, 2017

№298 (7533)

ფასი: 50 თეთრი

„ქართული ოცნება“ პარლამენტში ფუნქციონირებას წყვეტს — უმრავლესობა 3 ახალ ფრაქციას ქმნის

გვ.4

15 დეკემბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება გარდაუვალია“

გვ.3

ზაალ კასრელიშვილი: „ყოფილი პრემიერი თუ არ დაბრუნდა, აქ სიტუაცია აირევა“

გვ.2

რომან გოცირიძე: „ხელისუფლებას უნდა, მაქსიმალურად ჩაერიოს ხალხის პირად ცხოვრებაში“

გვ.4

თამარ კორძაია: „თეა წულუკიანმა სამარცხვინო ინიციატივა წარადგინა“

„ნაციონალებმა იარალი 2008 წელს გადამალეს“

გვ.5

გვ.4

კალაძე ნაციონალებს ნაძვის ხეზე დაკიდებას დაჰპირდა

ეკონომიკა გვ.6

საარსებო მინიმუმი 1,70 ლარით გაიზარდა

სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში პირს საქართველოს მოქალაქეობა აღარ შეუწყდება

დუშეთის მუნიციპალიტეტში ახალი ჰესი აშენდება

აფხაზებისთვის უსასყიდლოდ მიწოდებულმა დენმა, შესაძლოა, „ენგურჰესის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია გააძვიროს

ISSN 1987-9385

5 თაღლითური სქემა და მოტყუებული დევნილები

4 მშენებლობაზე ატენელი ახალგაზრდა დაიღუპა

4 კასპის მერია მანქანების გასარეცხად 3 ათას ლარს დახარჯავს

5 გრიგოლ ლილუაშვილი თანამდებობას ტოვებს და სამუშაოდ სუს-ში გადადის

რომან გოცირიძე: „ხელისუფლებას უნდა, მაქსიმალურად ჩაერიოს ხალხის პირად ცხოვრებაში“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, უმრავლესობამ პირველი მოსმენით დაამტკიცა კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები, რომლებსაც უმცირესობამ, ტრადიციულად, მხარი არ დაუჭირა. ასევე დიდი უკმაყოფილება მოჰყვა იუსტიციის მინისტრის მიერ შემოტანილ ცვლილებას, რომელიც პერსონალურ მონაცემებს უკავშირდება. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– საკონსტიტუციო ცვლილებები ძალიან კომიკურ სახეს იღებს. ჯერ იყო ერთი კონსტიტუცია, რომელიც ვენეციის კომისიაში წარადგინეს, შემდეგ პარლამენტში სხვა მიიღეს. ახლა უკვე მიღებულის კორექტირება ხდება, თანაც ამის წარმოჩენა უნდათ, როგორც კარგი საქმის. ითხოვენ ჩვენგან, მოვიწონოთ ის, რომ გაიღეს მოწყალება და მომავალ არჩევნებში ბლოკები დაშვებული იქნება ერთჯერადად. საიდან გაჩნდა ეს აკრძალვები? რასაც ახლა უკან აბრუნებენ, ეს ყველაფერი მანამდე იყო ძველ კონსტიტუციაში.

– ძველ კონსტიტუციას უბრუნდებიან?

– მოქმედ კონსტიტუციაში არავითარი შეზღუდვები არ იყო და ახლა უბრუნდებიან ძველ კონსტიტუციას, რომელიც გააფუჭეს, გააუარესეს. კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც შედის და რომელიც ძალიან კომიკური ხდება, ეხება სიტყვა ხმოსანს. ძალიან ესირცხვილებათ ეს სიტყვა.

– იცვლება ეს ტერმინი?

– იმდენად დასაცინი გახდა ამ 300 ხმოსნის მიერ პრეზიდენტის არჩევა, რომ ეს სიტყვა ამოიღეს და ამას ცვლიან საარჩევნო კოლეგიის წევრით. ხმოსანი ამომრჩევლის სინონიმად იხმარებოდა დამოუკიდებელი საქართველოს 1918 წლის კონსტიტუციაში. როდესაც ჩვენს ძველ კონსტიტუციაზე დოკუმენტებს ვკითხულობდით, არავის მოგვსვლია აზრად, სიტყვა ხმოსანი გაგვექილიკებინა.

ამ ხმოსნობას სჯობია, პრეზიდენტი პარლამენტმა აირჩიოს. მათი მიზანია, საქართველოს პრეზიდენტად ვიხილოთ რომელიღაც ყურმოჭრილი მონა-დეპუტატი, რომლის სახელი და გვარი შეიძლება არც კი გაგვახსენდეს მისი მუშაობის პერიოდში.

– კონსტიტუციის მე-18 მუხლში შესატან ცვლილებებს დიდი უკმაყოფილება მოჰყვა არა მარტო ოპოზიციის მხრიდან. ეს ცვლილებები იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა. რა არის მისი მიზანი?

– ხელისუფლებას ყველანაირად ცდილობს, ერთი მხრივ, შეიზღუდოს მისი კონტროლი საზოგადოების მხრიან და, მეორე მხრივ, მაქსიმალურად ჩაერიოს ადამიანების პირად ცხოვრებაში. ეს არის ტიპური პოლიციური სახელმწიფოს ნიშნები, როდესაც საკუთარ საქმიანობას ასაიდუმლოებ, ხოლო სხვის საქმიანობაში მაქსიმალურად ერევი. ეს ტენდენციები ამ ხელისუფლების მუშაობის პირველივე წლებში გამოჩნდა.

– კერძოდ?

– თუნდაც ამ 25 წლის განმავლობაში, რაც დამოუკიდებელი იყო ჩვენი ქვეყანა, ჩვენს პირად ანგარიშებზე არ ჰქონდა წვდომა საგადასახადო სამსახურს. მათ შეიტანეს ეს ცვლილება. მაშინ ბევრს ეს ეგონა, რომ საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებას ემსახურებოდა და გაჩუმდნენ. შემდეგ ეროვნული ბანკიდან გამოყვეს ფინანსური მონიტორინგის სამსახური. ეროვნული ბანკი არის პოლიტიკურად ნეიტრალური ორგანო. ეს სამსახური გადავიდა მთავრობაში, მთავრობა კი არის პოლიტიკური ორგანო. ამ მთავრობას კი უნდა, რომ მთელ საქართველოს მოაჯდეს. ფინანსური მონიტორინგის სამსახური არის ის ორგანო, რომელიც ყველა ჩვენს გადარიცხვასა თუ ანგარიშსწორებას უყურებს.

– ხელისუფლება მოსახლეობის ფინანსებს აკონტროლებს?

– რაიმე ოდნავ ღირებული საგანი თუ იყიდე, ან ნოტარიუსში თუ სადმე რაიმე ქონება გაიფორმე ან რაიმეს თუ გადარიცხავ, ამას ყველაფერს აკვირდება მონიტორინგის სამსახური! ადრე მეტი გამჭვირვალობა იყო. ახლა არიან მთავრობაში და ის არავის ახსენდება. თუმცა ეს არის ისეთი ინსტრუმენტი მთავრობის ხელში, რომელიც ყოველთვის შეიძლება ბოროტად გამოიყენოს ხელისუფლებამ, მათ შორის პოლიტიკური დევნის მიზნით.

– მე-18 მუხლი ვენეციის კომისიას არ დაუწუნებია და რატომ გადაწყვიტეს მასში ცვლილებების შეტანა?

– ეს არის იმის ნიშანი და მცდელობა, რომ საზოგადოებამ ვერ აკონტროლოს ძალოვნების საქმიანობა. ამ კონსტიტუციით მოსახლეობას ყველანაირ უფლებას უზღუდავენ. სამაგიეროდ, იზრდება მათი უფლებები. ტოტალურ კონტროლს ამყარებენ ყველასა და ყველაფერზე!

– როდის მიიღებს დასრულებულ სახეს კონსტიტუცია?

– ეს კონსტიტუცია უკვე იმდენჯერ შეიცვალა, იმდენჯერ მოხდა მისი ჭრა და კერვა, რომ არავინ იცის, ეს სადამდე და როგორ გაგრძელება. ეს კონსტიტუცია ერთი პარტიისთვის არის შექმნილი, რათა მომავალ არჩევნებზე მეტი ფორა და სასტარტო მდგომარეობა შეიქმნას. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხდება ძალაუფლების უზურპაცია. ეს სერიოზული რისკების შემცველია ქვეყნის სტაბილურობის თვალსაზრისით.

– ძალაუფლების უზურპაციის მცდელობა ახსენეთ და ცუდად ხომ არ დაასრულებს „ოცნება“?

– ისტორია ყოველთვის გვიჩვენებს, რომ ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება ცუდად ამთავრებს, მით უმეტეს, თუ ქვეყანაში ეკონომიკა არ ვითარდება. 2016-17 წლებში ქვეყანაში სიღარიბის დონე გაიზარდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2010-14 წლებში საქართველოში სტატისტიკურად სიღარიბის შემცირების ტენდენცია იყო, ხოლო ბოლო წლებია, ეს მაჩვენებელი გაიზარდა. ეკონომიკაში არაფერი ხდება მნიშვნელოვანი. ზრდა 3-4%-ის ფარგლებშია, რაც ქვეყანას პერსპექტივას ვერ აძლევს. ამიტომ ამ სიტუაციაში ადამიანთა ჯგუფის მცდელობა, რომ მუდამ იყვნენ ხელისუფლებაში, ყოველთვის მთავრდება ხალხის მიერ ძალიან მკაცრი პასუხით. როგორც არ უნდა ეცადონ კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას, ეს ხელისუფლება მაინც შეიცვლება!

პრეზიდენტმა სემეკის წევრის თანამდებობაზე დავით ნარმანიას კანდიდატურა წარადგინა

საქართველოს პრეზიდენტმა სემეკ-ის წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე თბილისის ყოფილ მერ დავით ნარმანიას კანდიდატურა წარადგინა. შესაბამის ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

– მიმდინარე წელს საქართველოს პრეზიდენტმა სემეკის სამ ვაკანტურ თანამდებობაზე სამი შესაბამისი კანდიდატურა წარადგინა. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს პარლამენტისთვის სემეკის წევრობის კანდიდატების წარდგენა საჭიროებს შეთანხმებას საქართველოს მთავრობასთან.

შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში, ნომინირებულ იქნა მაია მელიქიძის კანდიდატურა, რომელიც უკვე დამტკიცებულია, და გოჩა შონიას კანდიდატურა. ხოლო საქართველოს მთავრობის მხრიდან საქართველოს პრეზიდენტს ეთხოვა დავით ნარმანიას კანდიდატურის ნომინირება, – განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა.

რომან კაკულია: „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის კომერციული რეკლამის განთავსების შესაძლებლობის მინიჭება სამართლიანი მიდგომა არ არის“

პარლამენტის დარგობრივ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის კომერციული რეკლამის განთავსების შესაძლებლობის მინიჭება სამართლიანი მიდგომა არ არის.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით კომიტეტის კრიტიკული პოზიცია კაკულიამ პლენარულ სხდომაზე გამოხატა, სადაც კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვა მიმდინარეობს. კაკულიას თქმით, პარლამენტის დარგობრივ საკითხთა კომიტეტი მხარს არ უჭერს და სათანადოდ მომზადებულად არ მიიჩნევს ინიცირებულ კანონპროექტს.

– რეკლამასთან დაკავშირებით ჩვენ აბსოლუტურად გაგებით მოვეკიდეთ იმ მოტივაციას, რომელიც წარმოდგენილია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ძალიან მნიშვნელოვანია კომუნიკაციის დამყარება პოტენციური რეკლამის მომწოდებლებთან. ასევე გასაგებია, რომ ჟურნალისტების სტიმულირებისათვის ერთ-ერთი კარგი მეთოდი შესაძლებელია იყოს მათი ჩართვა ხელფასის ნაწილში, რეკლამიდან მოპოვებული შემოსავლებით, თუმცა ჩვენთვის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტისათვის, ამოსავალია საკითხისათვის კონკურენციის კუთხით შეხედვა. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტია ის, რომ ზიარად სარეკლამო ბაზარზე, განსაკუთრებით ახალშექმნილი ტელევიზიებისათვის, სამართლიანი მიდგომა არ იქნებოდა. ჩვენ ასევე გადავხედეთ საერთაშორისო პრაქტიკას და იმედი გამოვთქვით, რომ როდესაც ჩვენი ქვეყნის განვითარების დონე და კომერციული ტელევიზიები თვისობრივად მაღალ სტანდარტზე იქნება, ჩვენ სამომავლოდ შეგვიძლია ასეთ მიდგომაზე ვიმსჯელოთ, – განაცხადა რომან კაკულიამ.

მან ასევე უარყოფითად შეაფასა სტარტაპებთან დაკავშირებული ინიციატივაც და აღნიშნა, რომ „გამონაკლისების დაშვება ორმაგი სტანდარტის წინაშე დადგომის საფრთხეს შექმნის“.

ეკა ბესელია: „სააკაშვილის შეფასებაში პუტინის დახმარება არ მჭირდება“

– მიხეილ სააკაშვილის შეფასებაში ნამდვილად არ მჭირდება პუტინის გამონათქვამების დახმარება და მისი კომენტარების მოშველიება, იმდენად ბევრი არგუმენტი გვაქვს, ვისაუბროთ სააკაშვილზე, როგორც ამ ქვეყნისთვის ძალიან ბევრი ზიანის მომტან ყოფილ პრეზიდენტზე, რომ პუტინი რა კომენტარს გააკეთებს მასზე, ჩემთვის არ არის საინტერესო, – ასე გამოეხმაურა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებას.

ამასთან, ეკა ბესელიამ უპასუხა კითხვას, რა მიზნით იმყოფება სუსის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური ბელარუსში და ხომ არ იგეგმება იქ უკრაინელ კოლეგებთან შეხვედრა სააკაშვილის გადმოცემასთან დაკავშირებით.

– შეთქმულები და კონსპირაციის თეორიებს სერიოზულად არ განვიხილავ, ამით შეიძლება იყოს დაკავებული ნაციონალური მოძრაობა. ბატონი გომელაურის ვიზიტი არის სრულიად სხვა შინაარსის. თუ ვინმეს შეიძლება აინტერესებდეს მიხეილ სააკაშვილი, იგი მხოლოდ მართლმსაჯულებისთვის არის საინტერესო. მართლმსაჯულებას აქვს თავისი დღის წესრიგი და ის პოლიტიკურ დღის წესრიგში არ არის. ვერც სასამართლოები ვერ გადაიდება, ვერც პროცესი გაჩერდება და ვერც მართლმსაჯულების განხორციელებაზე იტყვის უარს ვერცერთი სახელმწიფო, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება გარდაუვალია“

შორენა მარსაგიშვილი

ზაალ კასრელიშვილი: „ყოფილი პრემიერი თუ არ დაბრუნდა, აქ სიტუაცია აირევა“

ის პროცესებს უნდა ველოდოთ საქართველოში, ვინ შეასრულებს ამჟამინდელ ხოლს, ის ვალდებულება აქვს ივანიშვილს საქართველოს მოსახლეობის წინაშე და იატომ ახის მისი დაბრუნება აუცილებელი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

– ვარაუდობენ, რომ უკრაინაში დაწყებული პროცესი საქართველოშიც ჰპოვებს გაგრძელებას. ისევე, როგორც იქ, აქაც მძიმე სოციალურია ფონია და კორუფციაც ყვავის. თქვენი აზრით, უნდა ველოდოთ თუ არა საქართველოში სოციალურ ბუნტს?

– მოდით, სანამ საქართველოზე ვისაუბრებდეთ, უკრაინაში მიმდინარე პროცესების ანატომიაზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. დასავლეთი კიევს ძალიან დიდ თანხას, 400 მილიონს აძლევს. დასავლეთმა ძალიან კარგად იცის, რომ უკრაინის ხელისუფლებაში არის კორუფცია. ამ ქვეყანაში კორუფციის პრობლემა სულ აქტიური იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინას, რუსეთის მერე, ყველაზე მეტი შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა ჰქონდა. კორუმპირებული უკრაინელი ჩინოსნები დღემდე ჭამდნენ სამხედრო ბიუჯეტს. ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში ომი არ დაიწყო, ამას ვერავინ მიხვდა. ომის დაწყების შემდეგ მოიკითხეს თანხები და სამხედრო ტექნიკა და გაარკვიეს, რომ ერთიც და მეორეც შეჭმული იყო.

მოკლედ რომ ვთქვათ, უკრაინაში ხაზინის ქურდობა ერთგვარ ტრადიციად იქცა. დასავლეთი ფრთხილობს ამ ქვეყნის დაფინანსებისას. უკრაინას თანხებს სოციალური რეფორმებისა და სამხედრო აღმშენებლობისთვის აძლევენ.

დასავლეთი შიშობს, რომ კორუმპირებული ჩინოსნები ამ თანხებსაც მოიპარავენ და რაღაცა ზომების მიღებას აპირებენ. მიხეილ სააკაშვილმა, თავისი თანამოაზრეების წყალობით, ამის შესახებ ინფორმაცია გაიგო, მოვლენებს დაასწრო და თემას ჩაებღაუჭა.

– ეს ამბავი რომ არ გაეგო, არ გააქტიურდებოდა?

– ვერ გააქტიურდებოდა. ის იმ დროისთვის თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ახლა თემას ჩაებღაუჭა და კორუფციასთან ბრძოლა დაიბრალა. სახურავებზე სირბილით და ტინგიცობით, ის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

უკრაინის მოსახლეობას კორუფცია და სიღარიბე ძალიან აწუხებს. აქაურების აზრით, ქვეყანა იმიტომ ცხოვრობს სიდუხჭირეში, რომ ჩინოსნები იპარავენ ხაზინიდან ფულს. უკრაინელებს სოციალური უსამართლობის განცდაც აქვთ.

მოსახლეობა სერიოზულად არის აღშფოთებული, მაგრამ ამ მღელვარებით ჯერჯერობით მხოლოდ იულია ტიმოშენკომ ისარგებლა.

– რაში გამოიხატება ეს სარგებელი?

– ის ამ მოვლენებამდე პოლიტიკურად მკვდარი იყო. ახლა ისე გაცოცხლდა, რომ სააკაშვილზე მაღალი რეიტინგი აკრიფა. ამისთვის მას სახურავებზე არ ურბენია. ის გამოცდილი პოლიტიკოსია და იცის, რა უნდა გააკეთოს. მან მიშას ცანცარიც კარგად გამოიყენა. დღეს ის არის უკრაინული ოპოზიციის ლიდერი და არა სააკაშვილი, როგორც ამას ნაციონალური მოძრაობის წევრები აცხადებენ.

რაც შეეხება იმას, გადმოინაცვლებს თუ არა ეს პროცესები საქართველოში, შანსები 50/50-ზეა. აქ სოციალური ფონი მძიმეა და მოსახლეობაში სოციალური უსამართლობის განცდაც ძალიან მაღალია.

საქართველოს მოსახლეობის აზრით, ქვეყანა იმიტომ არის გაღარიბებული, რომ ხაზინის ქურდები და ხალხის მძარცველები, შევარდნაძიდან დაწყებული დღემდე დამთავრებული, ხელისუფლებას ვერ ჩამოაშორეს.

კავკასიელებმა, დასავლელმა და მუსლიმმა მეგობრებმა, ასევე ქართველებმა შემაწუხეს კითხვებით. მეკითხებიან, რა გვჭირს, რატომ არ ვჯანყდებით. მათ ვეუბნები, რომ ჯანყს, პოლიტიკურ ძვრებს და რყევებს ქვეყნისთვის კარგი არაფერი მოაქვს.

– ჯანყს და რყევებს სიკეთე არ მოაქვს, მაგრამ არც დამდგარი წყალია მთლად კარგი. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, რომ დამდგარ წყალში ჭიები მრავლდებიან.

– ეს ასეა. დამდგარ წყალში ბევრი ვირუსი და ბაქტერია ჩნდება. ეპითეტებს რომ თავი დავანებოთ, ასეთი მდგომარეობა აჩენს ყველაზე დიდ სენს, რომელიც სახელმწიფოს შიგნიდან ალპობს. ამ სენს კორუფცია ჰქვია.

როდესაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ამა თუ იმ სახელმწიფოს დანგრევას ომის გარეშე ცდილობენ, იქ ჩინოვნიკებს ყიდულობენ ან ისეთ პირობებს უქმნიან, რომ კორუფციაში გასვარონ. მერე ეს ხალხი ყურებით ჰყავთ დაჭერილი. ეს სახელმწიფოს ლპობას იწვევს. ასეთ დროს ძალიან იოლია გარედან მართვა.

ჩვენ ამ საკითხებზე აუცილებლად უნდა ვისაუბროთ. უნდა გავარკვიოთ, კორუფცია ცალკეულ შემთხვევებში ვლინდება თუ მას სისტემური ხასიათი აქვს. ისიც უნდა გაირკვეს, ეს პროცესი გარედან არის თავსმოხვეული და შიგნიდან ხდება ამის გამოვლენა.

– თქვენი აზრით, რა ხდება საქართველოში კორუფციის კუთხით?

– ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ საქართველოში კორუფციაა. ჩვენ ამის გარკვევა გვინდა და ამიტომაც ვსვამთ ამ კითხვებს. ისიც გვაინტერესებს, თუ კორუფცია მართლაც არის, რა სქემებით მიდის ეს პროცესი. სააკაშვილის დროს სხვა სქემებით მიდიოდა კორუფცია, შევარდნაძის დროს სულ სხვა მოდელი მუშაობდა.

თუ ახლაც იგივე სქემები მუშაობს, რაც ნაციონალების დროს იყო, ეს იმაზე მეტყველებს, რომ სააკაშვილს დეტალური ინფორმაცია ექნება იმის შესახებ, ვინ, სად და რამდენს იპარავს.

– თქვენ თქვით, რომ სააკაშვილმა უკრაინაში ეს თემა ასწია. არც საქართველოში უნდა გაუჭირდეს ამის გაკეთება.

– ის და მისი მომხრეები აუცილებლად შეეცდებიან ამ თემის აწევას. მოსახლეობის ერთი ნაწილი ამას იმიტომ აჰყვება, რომ ნაციონალების მხარდამჭერია. მეორე ნაწილი ამას იმიტომ აჰყვება, რომ ეს ხელისუფლება აღარ მოსწონს. პროცესებში ის ხალხიც ჩაერთვება, რომელიც მთელი ცხოვრება სეირის მაყურებელი იყო.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს აუცილებლად ასე იქნება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოვლენების ასეთი განვითარების შანსები 50/50-ზეა. არც ის ადამიანები უნდა დავივიწყოთ, რომლებიც მსოფლიო გლობალურ პროცესებზე გავლენებს ახდენენ. ამ ადამიანებმა უკრაინაში სააკაშვილს მხარი დაუჭირეს. საქართველოში საკმაოდ რეზონანსული ამბები იქნება.

– ამ ყველაფერს რას დაუპირისპირებს ხელისუფლება? რის გაკეთებას შეძლებს იმისთვის, რომ პროცესებმა ქუჩაში არ გადაინაცვლოს?

– მე არ ვიცი, რას გააკეთებს ხელისუფლება, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რა უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“.

– რა უნდა გააკეთოს „ოცნებამ“?

– გეტყვით, აუცილებლად გეტყვით. ოღონდ, მანამდე ჩემი და ჩემი თანამოაზრეების პოზიციას დავაფიქსირებ ერთ საკითხთან დაკავშირებით. ეს შესაძლოა თქვენი მკითხველის ნაწილს არ მოეწონოს, მაგრამ სიმართლეს ყველამ თვალი უნდა გაუსწოროს.

ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოში კორუფციულ პროცესებში მონაწილეობს. მას იმდენი ფული აქვს, რომ ხაზინის ვირთხებს წილში არასდროს ჩაუჯდება.

– გამოცდილი და საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ ფული არასდროს არ არის ზედმეტი.

– ეს ასეა, მაგრამ ჩვენ არ გვგონია, რომ ივანიშვილი კორუფციულ პროცესებში იყოს ჩართული, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აქაურ ამბებს ისევ მან უნდა მიხედოს.

– ეს არის თქვენი პასუხი კითხვაზე, რა უნდა გააკეთოს „ოცნებამ“?

– რა თქმა უნდა. ვინმეს ხომ არ დაავიწყდა, რა მოხდა 2012 წელს. მაშინ მთელი საქართველო ამ კაცის გვერდით დადგა.

– 2012 წელს მთელი საქართველო ამ კაცის გვერდით დადგა, მაგრამ ერთი წლის თავზე ამ კაცმა აღარ მოისურვა ხალხის გვერდით ყოფნა და პოლიტიკიდან წავიდა. ხელისუფლება კი იმათ დაუტოვა, ვისაც ახლა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი აგინებს.

– ჰოდა, ვსარგებლობ და თქვენი გაზეთის მეშვეობით და ვთხოვ ბიძინა ივანიშვილს დაბრუნებას. 2012 წელს ამ ადამიანს იმიტომ დავუდექით გვერდით, რომ ვიცოდით, ის ბიუჯეტის ფულს არ მოიპარავდა. ვიცოდით რა მისი შინაგანი წესიერების შესახებ, გვჯეროდა, რომ პოლიტიკაშიც დააბრუნებდა წესრიგს და პატიოსნებას. ისიც ვიცოდით, რომ ამ ადამიანმა საქართველოს კეთილდღეობას მილიარდები მოახმარა და გვჯეროდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კიდევ უფრო მეტს გააკეთებდა.

იმ ადამიანებიდან, რომლებიც ახლა ქვეყანას მართავენ, სულ 3 ადამიანი იმსახურებს პატივისცემას, დანარჩენები კი.... მოკლედ, ჩვენ ივანიშვილს დავუდექით გვერდით.

მინდა კიდევ ერთხელ თხოვო მას, დაბრუნდით, ბატონო ბიძინა, პოლიტიკაში. იმ ხალხს ბუნტამდე ნუ მიიყვანთ, ვინც თქვენ 2012 წელს გვერდით დაგიდგათ.

– ბუნტამდე მივა საქმე?

– რაღაცები თუ არ შეიცვლება, ბუნტიც იქნება და ჯანყიც.

– ივანი შვილი დაბრუნდება? წასვლისას მან დაგვიბარა, ცუდად თუ წავა საქმე, დაბრუნდებიო. საქმე, მგონი, ცუდად არის.

– საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მისი დაბრუნება გარდაუვალია. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ის დაბრუნდეს. ამის გაკეთება აუცილებელია. სამართალი მხოლოდ მისი დაბრუნების შემთხვევაში დაბრუნდება.

– გინდათ თქვათ, რომ ხელისუფლებაში მყოფები სამართლიანობას არ აღადგენენ?

– 2-3 ადამიანის გარდა, ხელისუფლებაში მყოფი პირები იმათ გაურიგდნენ, ვინც სააკაშვილის და შევარდნაძის დროს სჩადიოდა დანაშაულს.

პოლიტიკაში დაბრუნებულმა ივანიშვილმა ხალხი ისევ გვერდით უნდა დაიყენოს და მათთან ერთად დაიწყოს ახალი სახელმწიფოს მშენებლობა.

უდიდესი პერსპექტივების ქვეყანა ვართ. გლობალური პროცესები ჩვენ სასარგებლოდ მიდის – საქართველოს ფასი ჯერ ათჯერ გაიზარდა, მერე ასჯერ. ახლო მომავალში ჩვენი ფასი ათასჯერ გაიზრდება. ინვესტორებმა ლამისაა, თავი წაგვჭამეს.

– რატომ წაგჭამეს თავი?

– საქართველოში უნდათ ფულის ჩადება. ისინი ძალიან კარგად ხვდებიან, რომ ახლო მომავალში საქართველოს ფასი 1.000-ჯერ გაიზრდება.

– ახლო მომავალში რა ხდება, ჩვენი ფასი ასე რომ იზრდება?

– ეს ყველაფერი დონალდ ტრამპის განცხადებას უკავშირდება, რომელმაც განაცხადა, რომ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქია. ამან გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში მიწისძვრა მოახდინა.

ჩვენ არ ვიცით, ამ კაცს კარგი პიარმენეჯერები ჰყავს თუ თავად არის ასეთი ნიჭიერი, მაგრამ მისი ყველა ნაბიჯი სტერეოტიპების დანგრევისკენ არის მიმართული. მოსვლის დღიდან ანგრევს კლანურ-კორპორაციულ ინტერესებს. ებრძვის და ანგრევს სექტანტურ გაერთიანებებს, რომლებიც ხშირად არასამთავრობოების სახით გვევლინებიან.

მართალია, ძალიან უჭირს, მაგრამ რაღაც კონდიციამდე სიმართლე მიჰყავს. დონალდ ტრამპის ბოლო განცხადების შემდეგ, მსოფლიოში უკვე ყველამ მოიხსნა ნიღაბი. ვეღარავინ ვეღარ თამაშობს.

გაირკვა, რომ ის ე.წ. ანტიდასავლური კოალიცია წმინდა რელიგიური მოტივების გარშემო შემოკრებილი გაერთიანებაა, რომელიც საკმაოდ კარგად არის შენიღბული. გაირკვა, რომ დასავლეთში ამის შესახებ დიდი ხანია ფიქრობენ, მაგრამ ადამიანის უფლებების კონვენცია უფრო მაღლა დგას, ვიდრე სამართლიანობა და რეალობა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი ოკუპანტი მეზობელი – რუსეთი დადგა არჩევანის წინაშე. ახლა მას არანაირი თამაში აღარ უშველის.

მოსკოვი იძულებული გახდა, გააკეთოს არჩევანი – ის ან ქრისტიანების გვერდით უნდა დადგეს, ან მუსლიმებს დაუჭიროს მხარი. აქ საშუალო ვარიანტი აღარ იქნება.

– არჩევანის გაკეთებას თუ არ მოისურვებს?

– მით უარესი მისთვის. ქრისტიანული სამყაროც დაუპირისპირდება და მუსლიმანურიც. ეს კრემლს და პუტინს ძალიან ცუდ დღეში ჩააგდებს.

– თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, იერუსალიმთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებით, ტრამპმა პუტინს გაუჩალიჩა.

– პუტინს ნამდვილად გაუჩალიჩა, მაგრამ არც სხვები დატოვა ისე. მან ყველას ჩამოხსნა ნიღაბი.

– დარწმუნებული ხართ, რომ რუსეთი სიტუაციიდან ვერ გამოძვრება?

– ტრამპმა ისეთი პენალტი დაურტყა პუტინს, რომ მისი მოგერიება შეუძლებელია.

– რატომ ვერ მოიგერიებს? საკმარისად გველაძუაა იმისთვის, რომ რაღაც მოიფიქროს.

– გველაძუა ნამდვილად არის, მაგრამ ახლა გამოსავალი არა აქვს, არჩევანი უნდა გააკეთოს – ან ქრისტიანებს უნდა დაუდგეს გვერდით, ან მუსლიმებს.

– რუსეთში ქრისტიანებიც ცხოვრობენ და მუსლიმებიც. პუტინი იტყვის, რომ ის ვერავის მხარეს ვერ დაიკავებს, რადგანაც არ სურს, რომ თავის მოქალაქეებს აწყენინოს.

– რუსეთი სხვა რამეს გააკეთებს. ის შეეცდება პოსტსაბჭოთა სივრცის შემოღობვას, რაც მისთვის ძალიან ცუდად დასრულდება. მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდება. ეს ჩვენს ოკუპანტ მეზობელს წელში გაწყვეტს.

ახლა საქართველო დაახლოებით ისეთ სიტუაციაშია, როგორიც მე-11 საუკუნის დასაწყისში იყო. აღმოსავლეთი და დასავლეთი მაშინაც ასე საშინლად დაუპირისპირდა ერთმანეთს. სწორი პოლიტიკის წყალობით, საქართველო იმ პერიოდში ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანად იქცა. ამის შანსი ახლაც გვაქვს.

– შანსი შეიძლება არის, მაგრამ მაშინ საქართველოს სათავეში დავით აღმაშენებელი იდგა.

– ნორმალური ხალხი თუ იქნება ხელისუფლებაში, ჩვენ შეგვიძლია კოლექტიური დავით აღმაშენებელი მივიღოთ. ამიტომაც არის აუცილებელი პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნება. თავის გარშემო მაგარი გუნდის შემოკრება მხოლოდ მას შეუძლია.

თამარ კორძაია: „თეა წულუკიანმა სამარცხვინო ინიციატივა წარადგინა“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი წევრი თამარ კორძაია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტზე საუბრობს, რომელიც საჯარო ინფორმაციის შეზღუდვას ეხება.

– ქალბატონო თამარ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით კონსტიტუციის მე-18 მუხლში ცვლილებები შედის. „ქართულ ოცნებაში“ აღნიშნულ საკითხზე ერთიანი პოზიცია არ აქვთ, პრემიერთან გაიმართა კონსულტაციები და, არ არის გამორიცხული, იუსტიციის სამინისტრომ პოზიციები დათმოს. საზოგადოებისთვის რა საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ინფორმაციის შეზღუდვა?

– ის ინიციატივა, რაც საკონსტიტუციო ცვლილებების სახით იუსტიციის სამინისტრომ წარადგინა, სამარცხვინოა. ეს არის ღია, დაუფარავი მცდელობა, საქართველოში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შეიზღუდოს კონსტიტუციის დონეზე, მაშინ როდესაც ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ვამაყობდით იმით, რომ დღეს მოქმედ კონსტიტუციაში ინფორმაციის თავისუფლების მუხლი ცალკე გვქონდა გამოყოფილი.

წლების განმავლობაში ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს, ჟურნალისტებს, დაინტერესებულ პირებს ეს განსაკუთრებული მუხლი საქართველოს კონსტიტუციაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და თავისუფლების სრულ გარანტიას გვაძლევდა. ჩვენ ვამაყობდით ამ განსაკუთრებული მუხლით საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც ცალკე აღიარებს ინფორმაციის თავისუფლებას, როგორც დამოუკიდებელ უფლებას და გამოხატვის თავისუფლების ნაწილით არ შემოიფარგლება.

ცოდნის უფლება და ინფორმირებული გადაწყვეტილების უფლება არის ქვაკუთხედი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ადამიანებს აქვთ სრული უფლება, იცოდნენ საჯარო ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადამიანებისთვის დოკუმენტურად და არა მხოლოდ ვარაუდის დონეზე უნდა ფლობდნენ ისინი ამ ინფორმაციას.

– ამ კანონპროექტის ავტორების მიზანი ხელისუფლების საქმიანობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვაა?

– დღეს იუსტიციის სამინისტრო გამოვიდა ინიციატივით, გაცილებით მარტივად მოხდეს ამ ინფორმაციის მიღების შეზღუდვა იმ მოტივით, რასაც ჰქვია უსაფრთხოება, უშიშროება. ის სამი კრიტერიუმი, რომელიც ინფორმაციის თავისუფლებას ზღუდავს, არის კომერციული საიდუმლოება, სახელმწიფო საიდუმლოება და პროფესიული საიდუმლოება, რომლის საფუძველზეც შეიძლება არ მიეცეს ადამიანს ინფორმაცია, რაც ძალიან კარგად არის საქართველოს პრაქტიკაში დამკვიდრებული.

ერთადერთი, რაც ამ მიმართულებით შეიძლება მოხდეს, ეს არის არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება და არა გაუარესება. იუსტიციის სამინისტროს შემოთავაზება კი სწორედ რეგრესული, უკან გადადგმული ნაბიჯია ინფორმაციის თავისუფლების უფლების დაცვის თვალსაზრისით.

– ამ საკითხზე გუნდში ერთიანი პოზიციები არ არის.

– ძალიან კარგია, რომ არ არის, ძალიან კარგია, რომ საპარლამენტო უმრავლესობა არ იზიარებს იუსტიციის სამინისტროს ამ პოზიციას. იმედი მაქვს, საბოლოო ჯამში, ეს ცვლილებები არ იქნება შეტანილი.

– რამდენად არის საფრთხის შემცველი თავად ხელისუფლებისთვის დახურულობა?

– მოქალაქის ყველა შეზღუდვა უსაფრთხოებით, უშიშროებით არის დასაბუთებული, მაგრამ უსაფრთხოება არსებობს უფლების დაცვის მიზნით და არა პირიქით. უფლება უნდა იყოს დაცული. თუ ბალანსი იქნება დარღვეული, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ცდილობს, ძალაუფლება მოიპოვოს. ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოების წინაშე კანონის საფუძველზე დაკისრებული ანგარიშვალდებულება არ შეასრულოს, არ გასცეს პასუხები საზოგადოებას დასმულ შეკითხვებზე.

ეს ძალიან საგანგაშოა იმ ფონზე, როდესაც გვესმის, რა ხდება, როგორ ადანაშაულებს ბიზნესი ხელისუფლებას. მოქალაქეებს აქვთ უფლება, იცოდნენ და გააკონტროლონ საჯარო დაწესებულებები, თუ რამდენად რაციონალურად იხარჯება მათი ფული და სად მიდის საბიუჯეტო ფული.

ამ ფონზე სამოქალაქო და საზოგადოებრივი კონტროლის უფლების შეზღუდვა არის პირდაპირ ხელისუფლების თვითნებობა. ამით ხელისუფლება საზოგადოებას ეუბნება, მე შენ წინაშე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი არ ვარო. სამწუხაროდ, ეს მიდგომა კატასტროფული შედეგის მომტანი შეიძლება გახდეს. აბსოლუტურ ძალაუფლებაში მყოფი „ქართული ოცნება“ მოქალაქეების წინაშე ცდილობს, ეს პოზიციები დაამკვიდროს.

– ეს კანონპროექტი პრესას რამდენად შეზღუდავს?

– რა თქმა უნდა, პირველ რიგში, პრესას შეზღუდავს. პრესისთვის არის მძლავრი ბერკეტი, რომ ხელისუფლება აკონტროლოს. პრესის ფუნქცია სწორედ ეს არის. სასაცილოა, როდესაც მედიას საყვედურობენ, კარგ რაღაცებს რატომ არ აშუქებთო. მედია არსებობს იმისთვის, რომ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს, განგაში ატეხოს იმ რისკებზე, რომლებიც შეიძლება საზოგადოების წინაშე არსებობდეს. როდესაც ჟურნალისტს შეეზღუდება და არ ექნება ინფორმაციაზე წვდომა, ეს აისახება ხელისუფლების მუშაობაზე. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია საგამოძიებო ჟურნალისტიკის ნაწილში.

– პარლამენტის თავმჯდომარე ეწინააღმდეგება შეზღუდვას. რატომ?

– ის ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან, ნამდვილად აცნობიერებენ, თუ რა შეიძლება ამ ყველაფერს მოჰყვეს. დარწმუნებული ვარ, კარგად ხედავენ იმ სტანდარტს, რასაც ჩვენ გვიწესებს „პარტნიორობა – ღია მმართველობის“ წევრობა. ბოლოს და ბოლოს, 2016 წელს ჩვენ ვიყავით გამარჯვებული ქვეყანა, მექსიკაში პირველი ადგილი ავიღეთ. ამდენად, ეს არის ძალიან სერიოზული პასუხისმგებლობა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

რასაკვირველია, ამ სტანდარტის დაწევა უარყოფითად აისახება და ხელისუფლება უარყოფითად შეფასდება. იმედი მაქვს, პარლამენტში ის პოზიცია გაიმარჯვებს, რომელიც ამ საკონსტიტუციო ცვლილებას არ მიესალმება.

კალაძე ნაციონალებს ნაძვის ხეზე დაკიდებას დაჰპირდა

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალები და „ქართული ოცნება“ ერთმანეთთან დაპირისპირების აქტიურ ფაზაში შევიდნენ. 15 დეკემბერს მათ დედაქალაქის მთავარი ნაძვის ხის გამო იჩხუბეს. ერთმანეთს დედაქალაქის მერი კახა კალაძე და ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ლევან ხაბეიშვილი შეებნენ.

აღსანიშნავია, რომ ეს ორნი ერთმანეთს ძალიან აქტიურად ეპაექრებიან. ენაკვიმატურ განცხადებებში ერთმანეთს ტოლს არ უდებენ და არ გაიკვირვოთ, თუ ერთ მშვენიერ დღეს ფანდურით ხელში კაფიაობა გამართონ.

15 დეკემბერს, დედაქალაქის მთავარი ნაძვის ხის ანთებამდე რამდენიმე საათით ადრე, კახა კალაძე საკრებულოში მომავალი წლის ბიუჯეტზე მსჯელობდა.

ბიუჯეტზე მსჯელობისას ათას რამეზე ისაუბრეს და ნაძვის ხესაც მიადგნენ. ნაძვის ხემდე საახალწლო განათებებზე იყო წივილ-კივილი.

ნაციონალებმა მთელი ამბავი ატეხეს იმაზე, რომ საახალწლო განათებები მილანურ კომპანიას დაუკვეთეს. ყოფილი ხელისუფლება ეჭვობს, რომ ამაში კალაძის ხელი ურევია.

ამაზე მერმა ოპოზიციას კიდევ ერთხელ გასცა პასუხი და მერე მის მიერ მორთულ ნაძვის ხეზეც ისაუბრა.

– სხვათა შორის, დღეს საღამოს გვაქვს ნაძვის ხის ანთების ცერემონია, სადაც ბევრი თანაქალაქელი იქნება. გიწვევთ თქვენც, ოპოზიცია და ბატონო ლევან და ისიამოვნოთ. სხვათა შორის, ერთი ადგილი ნაძვის ხეზე თქვენთვისაც გვაქვს შემონახული, ოღონდ პარლამენტის მხრიდან, უკნიდან, – მიმართა ნაძვის ხის ანთებამდე კალაძემ ოპოზიციას.

ნაციონალები ისეთი სახით დაპატიჟა ქალაქის თავმა, რომ მათ აშკარად ეჭვები გაუჩნდათ – ეს კაცი მარტო ზეიმისთვის არ გვეპატიჟებაო.

კალაძის მთავარმა ოპონენტმა ხაბეიშვილმა მერი ოპოზიციის შეურაცხყოფაში დაადანაშაულა.

– ოპოზიციას თურმე შეურაცხყოფა უნდა მიაყენოთ. ვინმეს თუ განსხვავებული პოზიცია და კითხვა აქვს, თუნდაც არასწორი, ეს ადამიანი თურმე ნაძვის ხეზე უნდა დაკიდოთ. რა თქმა უნდა, ამ შეურაცხყოფაზე არ შემოგყვებით, – აღნიშნა ლევან ხაბეიშვილმა.

„ქართული ოცნება“ და კალაძე კი ამტკიცებენ, რომ ნაძვის ხეზე არავის დაკიდებას არ აპირებენ.

* * *

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დედაქალაქის მთავარი ნაძვის ხის მორთვაში მონაწილეობა ადრეც აქვს მიღებული. 2002 წლის ბოლოს პირველი ასეთი ნაძვის ხე მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით მოირთო. მაშინ ის დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე იყო.

კახა კალაძე მაშინ მისი დიდი ქომაგი გახლდათ და ნაძვის ხის მორთვაშიც შეიტანა თავისი წვლილი. მან სააკაშვილს ნაძვის ხეზე დასაკიდებლად „მილანის“ მაისური აჩუქა.

სხვათა შორის, ამის გამო კალაძე ბევრმა დაგმო. მათ შორის ისეთებიც არიან, ვინც ახლა „ოცნებას“ ამშვენებენ და თბილისის მერის აუგად ხსენების გამო მზად არიან, ნაცებს ეკვეთონ.

კასპის მერია მანქანების გასარეცხად 3 ათას ლარს დახარჯავს

2018 წელს კასპის მუნიციპალიტეტის მერია მანქანების რეცხვისთვის 3 ათას ლარს დახარჯავს.

ამის თაობაზე ბიუჯეტიდან თანხა უკვე გაითვალისწინეს.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის ცნობით, ავტოსამრეცხაოს სულ 6 მანქანის გასარეცხად გამოიყენებენ. თითო ტალონის ფასი 5 ლარი ღირს, ხოლო ტალონების რაოდენობა 350 ცალი იქნება.

მერიის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებს შორის, 5 არის მაღალი გამავლობის მანქანა – ჯიპები და პიკაპები.

მშენებლობაზე ატენელი ახალგაზრდა დაიღუპა

თბილისში, ერთ-ერთ მშენებლობაზე, 25 წლის ახალგაზრდა დაიღუპა. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს.

ვებ-პორტალის ცნობით, შემთხვევა 13 დეკემბერს მოხდა.

25 წლის მამაკაცი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენში ცხოვრობდა.

მეცენატი, რომელმაც დევნილებს წიწაკა გაუგზავნა, რუსეთის მოქალაქეა

კარალეთის დევნილთა დასახლებაში დარიგებული წიწაკის მეპატრონე, რუსეთის მოქალაქე დავით რობანიშვილია. ამის შესახებ მასალები შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა მოიძია. რობანიშვილი შპს ,,ახალი ბაღის“ დირექტორია, რომელმაც 20 ჰა-ზე სანერგე მეურნეობა სოფელ პატარა გარეჯვარში (კარალეთის თემი) გააშენა.

,,ახალი ბაღის“ ამჟამინდელი მფლობელები არიან დავით და ტარიელ რობანიშვილები (მამა-შვილი, ორივე რუსეთის მოქალაქე) და იოსებ ფარეხელაშვილი (20%).

კარალეთის დევნილთა დასახლების წარმომადგენელი კახა მაისურაძე ამბობს, რომ წიწაკა დევნილებს სწორედ სანერგე მეურნეობამ დაურიგა. მისი განმარტებით, სატვირთო მანქანით ,,ახალი ბაღისგან“ გამოგზავნილი პროდუქტი მის სახლში დაცალეს, საიდანაც გაანაწილეს.

– რაკი ჩემი სახლიდან განაწილდა ეს წიწაკა, სწორედ ამიტომ დაუკავშირეს ამ ფაქტს ქურთის მუნიციპალიტეტი, თორემ, ეს წიწაკა ხელისუფლებას არ დაურიგებია, ეს დაარიგა მეურნეობამ, – აცხადებს მაისურაძე.

წიწაკის დარიგებაში სანერგე მეურნეობის როლს კატეგორიულად უარყოფს ამავე მეურნეობის იურისტი სოსო ბაინდურაშვილი. მისი თქმით, წიწაკა სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე არ მოუყვანიათ, არამედ, ერთ-ერთმა დამფუძნებელმა საკუთარ ნაკვეთში მოიყვანა, რომელიც მეურნეობის გვერდით მდებარეობს.

– დავით რობანიშვილს არ სურს ამ ქველმოქმედების გამო საჯაროდ გამოჩენა. ის უბრალოდ ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია და საკუთარი მოსავალი დაურიგა დევნილებს. წიწაკა თავის კუთვნილ ნაკვეთში მოიყვანა, – აცხადებს სოსო ბაინდურაშვილი.

რაც შეეხება შპს „ახალ ბაღს“, ის 2013 წლის ივლისში დაფუძნდა და იმავე წელს დაფინანსება სახელმწიფოსგან მიიღო. პატარა გარეჯვარში მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც იმყოფებოდა და მასშტაბური პროექტის განხორციელება მიულოცა.

დავით რობანიშვილი 2013 წელს ,,ახალი ბაღის“ 50%-იანი წლის მფლობელი იყო, დანარჩენი 20% – იოსებ ფარეხელაშვილს, ხოლო 30% გოდერძი აკოფაშვილს ეკუთვნოდა. საწარმოში წილების ბოლო ცვლილება 2017 წლის იანვარში განხორციელდა. ამ ცვლილების მიხედვით, 80% მამა-შვილს (რუსეთის მოქალაქეები – ტარიელ და დავით რობანიშვილი) ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი 20% იოსებ ფარეხელაშვილს, ადგილობრივ მკვიდრს. რაც შეეხება კუთვნილ ნაკვეთს, დავით რობანიშვილს 5 ჰა-ზე ოდნავ მეტი ფართობის ნაკვეთი კარალეთის თემში ნამდვილად აქვს, რომელიც 2017 წლის 8 დეკემბერს, წიწაკის დარიგებიდან 3 დღით ადრე შეიძინა.

„ნაციონალებმა იარაღი 2008 წელს გადამალეს“

გულიკო ბალაძე

როგორ უკავშირდება ერთმანეთს ნაცმოძრაობის იარაღის სამალავები და ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე განეიტრალებული ტერორისტების იარაღი, რა რაოდენობის და რა სახის იარაღი დაიკარგა 2008 წლის ომის დროს ბაზებიდან? ამ საკითხებზე სამხედრო უფლებადამცველი დავით ნემსაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

– ბატონო დავით, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ სამ კვირაზე მეტი გავიდა და, როგორც სპეცსამსახურების ინფორმაციით გავიგეთ, აღმოჩენილი იქნა იარაღის სამალავი. თქვენ სპეცოპერაციის შეფასებისას თავის დროზე ტერორისტების იარაღი რატომღაც ნაციონალებს დაუკავშირეთ, განაცხადეთ, ვინ იცის, კიდევ რამდენი იარაღის სამალავი აქვთო. ამ შემთხვევაში ნანახი იარაღის სამალავი რამდენად შეიძლება უკავშირდებოდეს ნაციონალებს?

– ნაცმოძრაობა ის დამნაშავე ძალაა, რომელიც მიზანმიმართულად, ქვეყნის გაუბედურებისთვის ყველაფერს აკეთებდა. მათ აქვთ იარაღის სამალავები. სამწუხაროდ, არ მომხდარა ყველა იარაღის ამოღება. ეს არის სპეცსამსახურების საქმე. ვერავინ გააკონტროლებდა 2008 წლის ომის დროს დაკარგული იარაღის ოდენობას. ვერავინ იტყვის, წინა ხელისუფლება, რომელიც კერძო ინტერესებით მოქმედებდა, სუბიექტური და მიკერძოებული არ იყო და ახლაც არ არის მიკერძოებული, როცა მიხეილ სააკაშვილი უკრაინაშია. რასაც სააკაშვილი აკეთებს, ცნობილია. როგორც კი გახდება შესაძლებელი პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა, აქ არის სააკაშვილის მომხრე ძალა, რომელსაც გამოიყენებს საქართველოში კონსტიტუციური წყობის დასამხობად. ძალიან დიდი საშიშროებაა იმისა, რომ თავდაცვის სამინისტრო იქნას ჩათრეული ამ ორომტრიალში.

– თქვენ იარაღის სამალავის აღმოჩენას უკავშირებთ ნაცების იარაღის სამალავებს. საიდან შეიძლება იყოს დაკავშირებული ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ერთ-ერთ ბინაში განადგურებული ტერორისტული ჯგუფი სააკაშვილთან, ნაცებთან და მათ იარაღის სამალავებთან?

– აგიხსნით. არანაირი პრობლემა არ არის. თქვენ მოისმინეთ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონ სესია შვილის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ ჩატაევი, რომელიც იქნა ლიკვიდირებული, მიხეილ სააკაშვილის აგენტურული ჯგუფის წარმომადგენელი იყო. ეს როგორი დონის განცხადებაა, არ შევაფასებ. თუმცა, ფაქტია, რომ ბატონ სესია შვილს ეს ინფორმაცია ჰქონდა და მან ამის თაობაზე საჯაროდ განაცხადა.

– ანუ ჩატაევმა იცოდა ნაცების იარაღის სამალავის შესახებ?

– ჩატაევმა შეიძლება არ იცოდა, მაგრამ იმ პირთა წრემ ნამდვილად იცოდა, ვინც მას საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაში ხელი შეუწყო და მისცა მას იარაღი.

– ვინ წარმოადგენს იმ პირთა წრეს, ვინ არიან ის პერსონები, ხომ არ იცით?

– ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ და მხოლოდ ის ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ ამ იარაღის სამალავების შესახებ, ამის თაობაზე ჰქონდათ ინფორმაცია. მხოლოდ მათ შეეძლოთ საქართველოში შემოღწეული ტერორისტული ჯგუფის იარაღით მომარაგება.

– იარაღის სამალავის შესახებ, რეალურად, ვის, რა კატეგორიის ადამიანებს შეიძლება სცოდნოდათ?

– იარაღის სამალავების შესახებ შეიძლება

სცოდნოდათ ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნებს. იარაღის დამალვის შესახებ შეიძლება მხოლოდ სცოდნოდათ ნაცმოძრაობის დროინდელი სპეცსამსახურების დროს დაწინაურებულ პირებს, შეიძლება სცოდნოდათ ნაცმოძრაობის ხელისუფლების დროს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში მყოფ პირებს, პოლიტიკურ პერსონებს, რომლებიც ამ პოლიტიკურ საბოტაჟს გეგმავდნენ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამაზე უნდა იმუშაოს გამოძიებამ. ეს გამოძიებამ, სულ მცირე, ერთ-ერთ ვერსიად უნდა განიხილოს. ამაზე დაფიქრება ღირს.

– თქვენ როგორ გაიგეთ, რა უნდოდა ამ ჯგუფს რომ გაეკეთებინა საქართველოში?

– ეგ მე არ ვიცი. წარმოდგენა არ მაქვს. არ შეიძლება ასე ჰაერზე ილაპარაკო ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, ვიტყვი, რომ ტერორისტული ჯგუფი არ იყო, დივერსიულ ჯგუფს წარმოადგენდა. დივერსიული ჯგუფი კონკრეტული ამოცანით მოქმედებდა. რა ამოცანა ჰქონდა დასახული, არ ვიცი. თუმცა, იმასაც ვერ ვიტყვი, რომ აღნიშნული სპეცოპერაცია ჩატარდა იდეალურად, რადგან ბევრი კითხვის ნიშანია. ამ ყველაფრის თავიდან არიდება შეიძლებოდა. სპეცსამსახური ვალდებულია, იმ მიმართულებით იმუშაოს, რათა ქვეყანაში ასეთი უბედურება აღარ მოხდეს.

– საზოგადოებაში ისმის კითხვა, რატომ მაშინვე არ მოახდინეს ლიკვიდაცია, როცა ტერორისტული ჯგუფი აღმოაჩინეს.

– ეს გამოძიების საქმეა. მე ვსვამ კითხვას, რატომ არ მოახდინეს იმ პირების ლიკვიდაცია მაშინ, როცა ისინი ნაგებობებში არ იმყოფებოდნენ.

– მგონი, სპეცსამსახურების მიზანი ტერორისტების ლიკვიდაცია არ იყო.

– ვერაფერს გეტყვით, სპეცსამსახურების მიზანი რა იყო. სახეზეა ძალიან დიდი გაუგებრობა და არაპროფესიონალიზმი.

– თქვენ ბრძანეთ, 2008 წელს იარაღი დაიკარგა. ხომ არ იცით, რა რაოდენობის იარაღია დაკარგული?

– რა რაოდენობის იარაღი დაიკარგებოდა ბაზიდან, როცა სამხედრო ნაწილებში „სკლადები“ იცლება, როცა ყველაფერი რუსეთს მიართვეს, წაიღეთო. სინამდვილეში ნაწილი იარაღისა მიზანმიმართულად დაუტოვეს რუსებს, ნაწილი სად გაქრა, ეშმაკმა იცის.

ყველანაირი სახის იარაღია დაკარგული, დაწყებული საზენიტო-სარაკეტო, დამთავრებული ტყვიამფრქვევებით, ხელყუმბარებით, ასაფეთქებელი საშუალებებით, ტანკებით, ბეტეერებით, კვატროციკლებით და კიდევ რა სახის იარაღია დაკარგული და გადაცემული რუსეთზე, უფალმა უწყის. ვერ გეტყვით, ეს იარაღი მთლიანად რუსებმა წაიღეს თუ ნაციონალებმა გადამალეს და გამოიყენებენ ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ. ფაქტია, რომ ნაცებს იარაღის სამალავები აღმოუჩინეს.

თაღლითური სქემა და მოტყუებული დევნილები

საგამოძიებო სამსახურმა დიდი ოდენობით ფულადი თანხის თაღლითურად დაუფლების სამი ფაქტი გამოავლინა.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დიდი ოდენობით ფულადი თანხის თაღლითურად დაუფლების მცდელობის სამი ფაქტი გამოავლინეს და დანაშაულში მხილებული 5 პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში, ბრალდებულებმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის ნდობა მოიპოვეს და მოტყუებით დაარწმუნეს იგი, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლის დახმარებით, შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში, საკუთრებაში გადასცემდნენ დევნილთათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ფართს, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში ბრალდებულები იძულებით გადაადგილებულ პირებს დაჰპირდნენ, რომ დაეხმარებოდნენ სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ გადასაცემი საცხოვრებელი ბინის რიგგარეშე მიღებაში.

აღნიშნული თაღლითური გზით ბრალდებულები მოტყუებით დაეუფლნენ საერთო, ჯამში 14.100 აშშ დოლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გრიგოლ ლილუაშვილი თანამდებობას ტოვებს და სამუშაოდ სუს-ში გადადის

პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე და ვანისა და ხონის მაჟორიტარი დეპუტატი გრიგოლ ლილუაშვილი დაკავებულ თანამდებობას დატოვებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ლილუაშვილი საქმიანობას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ვახტანგ გომელაურის მოადგილედ განაგრძობს.

„ქართული ოცნება“ პარლამენტში ფუნქციონირებას წყვეტს — უმრავლესობა 3 ახალ ფრაქციას ქმნის



„ქართული ოცნება“ პარლამენტში ფუნქციონირებას წყვეტს. საგაზაფხულო სესიისთვის საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციიდან სამი ფრაქცია შეიქმნება.

როგორც არჩილ თალაკვაძემ საშემოდგომო სესიის შეჯამებისას განაცხადა, იანვრიდან პარტიის შიგნით იგეგმება დამატებითი ფრაქციების შექმნა.

– საშემოდგომო სესია საკმაოდ დატვირთული იყო და ჩვენ მივიღეთ ისეთი მნიშვნელოვანი კანონები და გადაწყვეტილებები, როგორიცაა კონსტიტუცია, ბიუჯეტი, სამთავრობო ცვლილებების პაკეტი, შრომის ანაზღაურების შესახებ პაკეტი. ავირჩიეთ ახალი ომბუდსმენი.

იანვრიდან დავიწყებთ მზადებას საგაზაფხულო სესიისთვის, გვექნება რამდენიმე სამუშაო შეხვედრა უმრავლესობის ფორმატში. საპარლამენტო უმრავლესობის შიდა სამუშაო პროცესი და კოორდინაცია კიდევ უფრო გააქტიურდება, ამ მიზნით ვგეგმავთ უმრავლესობის შიგნით დამატებითი ფრაქციების შექმნასაც, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

მარიკა დათუკიშვილი კახა კალაძეს: „თქვენი ვალდებულება მხოლოდ „სელფაობა“ არ არის“

– თქვენი ვალდებულება მხოლოდ „სელფაობა“ არ არის, – ამ სიტყვებით მიმართა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა მარიკა დათუკიშვილმა თბილისის მერს კახა კალაძეს საკრებულოს სხდომაზე.

დათუკიშვილის თქმით, ნამდვილად არ არის სწორი, რომ კალაძემ მისი გაგზავნილი წერილი არ წაიკითხა.

– მესმის, რომ აჟიტირებული ხართ, მაგრამ დამშვიდდით, დაწყნარდით და მომისმინეთ. კარგია, რომ მოხვედით, მაგრამ ცუდია, რომ სოლიკო კედელაშვილთან დაკავშირებით არ მოხვედით საკრებულოში. დახურულ შეხვედრაზეც გთხოვეთ მოსვლა, მაგრამ ვერ გაბედეთ. ძალიან ცუდია, რომ ჩემი წერილი არ წაიკითხეთ და ამას ამაყად აცხადებთ. ეს თქვენი ვალდებულებაა. თქვენი ვალდებულება მხოლოდ „სელფაობა“ და გირლიანდების ჩამოკიდება არ არის ახალ წელს, – მიმართა დათუკიშვილმა კალაძეს.

შეგახსენებთ, რომ მარიკა დათუკიშვილის ინფორმაციით, მან კალაძეს პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ წერილი გაუგზავნა, თუმცა მერი მას არ გაცნობია.

ანა დოლიძე: „ჩვენ ვიღებთ კონსტიტუციის ცვლილებების ცვლილებების ცვლილებას“

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანის, ანა დოლიძის შეფასებით, პარლამენტი კონსტიტუციაში ცვლილებების ცვლილებების ცვლილებას იღებს. როგორც დოლიძემ კონსტიტუციაში ახალი ცვლილებების შეტანის შეფასებისას განაცხადა, კონსტიტუციის ასეთი ხშირი ცვლილებების პროცესი უცნაური და რეკორდულია, თუნდაც ქართული პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

– ჯერ კიდევ ერთი წლის წინ განვაცხადეთ, რომ ის შემართება, რომლითაც ხდებოდა კონსტიტუციის ცვლილება, მიუღებელი იყო. გავიხსენოთ, რომ შეიქმნა კომისია, რომელიც გზადაგზა ჩამოიშალა, ცვლილებები მიიღო მმართველმა ძალამ ერთპარტიულად და სანამ პროექტი რეალობად იქცეოდა, მანამ ის უკვე შეიცვალა. დაპირება, რომელიც საზოგადოებისა და ვენეციის კომისიის წინაშე დაიდო, შეიცვალა. კონსტიტუციის მიღებისთანავე დაიწყო მის ცვლილებებზე საუბარი და დღეს ჩვენ ვიღებთ ცვლილებების ცვლილებების ცვლილებას. ის გაუმართაობა, როგორც წარიმართა ეს პროცესი, უცნაური და რეკორდულია, თუნდაც ქართული პოლიტიკური ცხოვრებისათვის, – აღნიშნა ანა დოლიძემ.

თბილისის ინტერპოლმა ვისბადენის ინტერპოლის მიერ ძებნილი პირი დააკავა

თბილისის ინტერპოლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის სამმართველოს – „სარფის“ თანამშრომლებმა, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსვლისას, ვისბადენის ინტერპოლის მიერ 2012 წლიდან ძებნილი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული ა.ი. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულს ბრალი ედება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე, 224-ე, 239-ე, 240-ე, 263-ე, 267-ე, 52-ე მუხლებით და 25-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, რაც იძულებას, თაღლითობას, დოკუმენტების გაყალბებას, სხეულის მძიმე დაზიანებას და თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

ამჟამად დაკავებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

აფხაზებისთვის უსასყიდლოდ მიწოდებულმა დენმა, შესაძლოა, „ენგურჰესის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია გააძვიროს

2017 წლის ნოემბერში „ენგურჰესის“ და „ვარდნილჰესის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 54,4% აფხაზეთმა წაიღო, 11 თვეში კი 43,9%. სწორედ ეს დაასახელა „ენგურჰესის“ ფინანსურმა დირექტორმა ვალერი კანკიამ ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფის შესაძლო გაზრდის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. მართალია, დღეს „ვარდნილჰესების“ კასკადისა და „ენგურჰესისთვის“ წარმოების ტარიფის დადგენის გადაწყვეტილება გადაიდო, თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელმა კომისიამ საჯარო სხდომაზე „ვარდნილჰესების“ კასკადის, „ენგურჰესის“ ელექტროენერგიის წარმოების 2018-2020 წლების ტარიფები განიხილა. როგორც მარეგულირებელი კომისიის წევრმა გიორგი ფანგანმა განაცხადა, განხილვა გადაიდო, რადგან ელექტროენერგიის სიმძლავრეების ბალანსთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იყო წარმოდგენილი. ბალანსის წარდგენა ენერგეტიკის სამინისტროს ფუნქცია იყო, თუმცა სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, ვერ მოესწრო და ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. გიორგი ფანგანის განცხადებით, ელექტროენერგიის სიმძლავრეების ბალანსის დაზუსტება მიმდინარეობს.

– ჩვენი ხარჯებიდან გამომდინარე, „ენგურჰესის“ ელექტროენერგიის წარმოება რაღაც ერთეულით უნდა გაიზარდოს. თქვენ იცით, რომ „ენგურჰესი“ გამომუშავებული ელექტროენერგიის თითქმის ნახევარს უსასყიდლოდ აწვდის აფხაზეთს. ამიტომ „ენგურსჰესს“ სჭირდება მუდმივი რეაბილიტაცია, უკვე 40 წელია ექსპლუატაციაშია და სახსრებია საჭირო, – განაცხადა კანკიამ განხილვის დაწყებამდე.

აფხაზეთი ელექტროენერგიით „ენგურჰესისა“ და „ვარდნილჰესის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით მარაგდება. ზამთრის სეზონზე ორივე ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 50%-ზე მეტი აფხაზეთს მიაქვს, ზაფხულში ეს მაჩვენებელი შედარებით მცირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ „ენგურჰესის“ მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას აფხაზები მთლიანად უფასოდ იღებენ.

საქართველოს ელექტროენერგიის 2017 წლის ბალანსის მიხედვით, ნოემბერში „ენგურჰესისა“ და „ვარდნილჰესების“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 356,589 მლნ კვტ/სთ იყო, აქედან 194,096 მლნ კვტ/სთ აფხაზეთის რეგიონმა მოიხმარა, ეს იმას ნიშნავს, რომ ნოემბერში აფხაზებმა ამ ორი ჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 54,4% წაიღეს. 2017 წლის იანვარ-ნოემბერში კი აფხაზეთის რეგიონმა 43,9% წაიღო.

რაც შეეხება მთლიან წელს, 2016-ში აფხაზებმა „ენგურჰესისა“ და „ვარდნილჰესის“ მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 45,7%, მიიღეს და თანაც უფასოდ. ესკოს მონაცემებით, შარშან „ენგურჰესმა“ და „ვარდნილჰესმა“ მთლიანად 4211 მლნ კვტ/სთ გამოიმუშავეს, საიდანაც აფხაზებმა 1926 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია მიიღეს.

როგორც ცნობილია, ენგურჰესი“ ექსპლუატაციაში 1978 წელს შევიდა, თუმცა სამშენებლო სამუშაოები 1988 წელს დასრულდა. „ენგურჰესის“ წლიური გამომუშავება 3 მილიარდ კილოვატ საათს აღემატება. 1997 წელს დადებული სიტყვიერი შეთანხმების მიხედვით, „ენგურჰესისა“ და „ვარდნილჰესების“ (გალის ტერიტორიაზე) კასკადის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 40% აფხაზეთის რეგიონს უნდა წაეღო, 60% კი – საქართველოს დანარჩენ რეგიონებს. საქართველოსა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობებს შორის კვოტების განაწილებასთან დაკავშირებით ოფიციალური ხელმოწერილი დოკუმენტი არ არსებობს. თუმცა აფხაზებს ყოველთვის 40-50%-ზე მეტი დენი მიაქვთ და თანაც მუდმივად უფასოდ.

ნოემბერში ფულადი გზავნილები 24,8%-ით გაიზარდა

2017 წლის ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 122.1 მლნ აშშ დოლარი, ანუ 326.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 24.8 პროცენტით (24.3 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2016 წლის ნოემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 92.3 პროცენტი იმ 14 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ნოემბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 14 ქვეყანაზე გასული წლის ნოემბერში მთელი ფულადი გზავნილების 92.2 პროცენტი მოდიოდა.

2017 წლის ნოემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 19.9 მლნ აშშ დოლარი (53.1 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 17.1 მლნ აშშ დოლარისა (42.3 მლნ ლარისა) გასული წლის ნოემბერში.

დუშეთის მუნიციპალიტეტში ახალი ჰესი აშენდება

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ბოდორნას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების ოფიციალურ ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო.

როგორც ეკონომიკის სამინისტრო იუწყება, პირველმა ვიცე-პრემიერმა კომპანია „ჯორჯიან უოთერს ენდ ფაუერის“ ხელმძღვანელობასა და სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად, ჰესის მშენებლობის ადგილზე სიმბოლური კაფსულა ჩაუშვა.

მათივე ცნობით, ახალი სადგური მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში აშენდება.

თავის გამოსვლაში დიმიტრი ქუმსიშვილმა ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა, ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი ჰესი ეკოლოგიურად სუფთა, ე.წ. მწვანე ჰესია, რომელსაც გარემოზე მინიმალური ზეგავლენა აქვს.

– ჰესის მშენებლობა ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულებით: ეს არის ახალი ინვესტიციები და ახალი სამუშაო ადგილები როგორც მშენებლობის პროცესში, ისე მისი დასრულების შემდეგ. საბოლოო ჯამში კი ბოდორნაჰესი უწყვეტად უზრუნველყოფს იმ სათავო ნაგებობების ელექტრომომარაგებას, რომლებიც დედაქალაქს სასმელი წყლით ამარაგებენ, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ბოდორნაჰესს კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აშენებს. კომპანია ე.წ მწვანე ჰესის უმაღლესი ხარისხითა და თანამედროვე ტექნოლოგიით მშენებლობისთვის 10 მლნ ლარის ინვესტიციას ახორციელებს. ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 2.5 მგვტ-ია, ხოლო საშუალო წლიური გამომუშავება – 15 მლნ.კვტ/სთ. პროექტის განხორციელების პროცესში 50-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

ბოდორნაჰესის ელექტრო-მექანიკურ ტურბინებს და გენერატორს ავსტრიული კომპანიაGUGLER-ი დაამზადებს, რომელიც ლიდერია ჰიდროაგრეგატების წარმოების დარგში. რაც შეეხება სამშენებლო და საპროექტო სამუშაოებს, მათ ქართული კომპანიები „პირამიდა“ და „საქ. წყალ პროექტი“ განახორციელებენ. მშენებლობის პროცესს მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი კომპანია შტუცკყ ში გაუწევს ზედამხედველობას. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ჰესის მშენებლობას ნიდერლანდების განვითარების ბანკისა (FMO) და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან (DEG) მიღებული გრძელვადიანი სესხის ნაწილით აფინანსებს.

ახალი „მწვანე“ ჰესის მშენებლობა 2018 წლის სექტემბერში დასრულდება და საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში ჩაერთვება.

„ავანსის დღგ-ით დაბეგვრა მაღალი საგადასახადო რისკის მქონე დარგებზე უნდა გავრცელდეს“

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს მიაჩნია, რომ ავანსის დღგ-ით დაბეგვრა მაღალი საგადასახადო რისკის მქონე დარგებზე უნდა გავრცელდეს.

„ანალიტიკასთან“ ინტერვიუში ზურა ძნელაშვილი აცხადებს, რომ 2016 წლის ბოლოსაც, როცა ამ სისტემის დანერგვის შესახებ ბიზნესმა მოულოდნელად გაიგო, ბიზნესომბუდსმენის აპარატმა, საქართველოს ბიზნესასოციაციის მიმართვის საფუძველზე, პარლამენტს და აღმასრულებელ შტოებს ავანსის დღგ-ით დაბეგვრის სისტემის მინიმუმ 1 წლით გადავადების თხოვნით მიმართა, მაგრამ ხელისუფლებამ ეს რეკომენდაცია არ გაითვალისწინა.

– როგორც ვიცით, თავდაპირველად საუბარი იყო იმაზე, რომ ავანსის დღგ-ით დაბეგვრა შეეხებოდა სამშენებლო დარგს, მაგრამ შემდეგ რატომღაც სხვებზეც გავრცელდა. ჩვენი პოზიციაა, რომ შეფასდეს მაღალი საგადასახადო რისკის მქონე დარგები და თუ არის კიდევ ასეთი რისკის მატარებელი სხვა დარგი, იქ უნდა დარჩეს ავანსების დღგ-ით დაბეგვრის სისტემა ძალაში. ამას არც სამშენებლო დარგი ეწინააღმდეგება, რადგან ლოგიკაცაა და სამართლიანიც არის; მაგრამ იმ დარგებში, სადაც საგადასახადო რისკები არც არასდროს ყოფილა, ავანსის დღგ-ით დაბეგვრა არაა მიზანშეწონილი. ეს ერთგვარად ართულებს ბიზნესის მდგომარეობას, – აცხადებს ძნელაშვილი.

შეგახსენებთ: ავანსის დღგ-ით დაბეგვრის სისტემა 2017 წლის იანვრიდან ამოქმედდა. მიმდინარე კვირის დასაწყისში კი, საქართველოს ბიზნესასოციაციის და ფინანსთა მინისტრის შეხვედრაზე, ბიზნესმა მამუკა ბახტაძესთან სწორედ ავანსის დღგ-ით დაბეგვრის სისტემის გაუქმება და მხოლოდ სამშენებლო სექტორისთვის დატოვების საკითხი დააყენა. მამუკა ბახტაძემ აღნიშნული რეგულაცია ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებით ახსნა, უკვე ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა კი თქვა, რომ ავანსი დღგ-ით უნდა იბეგრებოდეს, მაგრამ ისიც დასძინა, რომ თემაზე გუნდი იმსჯელებს.

საარსებო მინიმუმი 1,70 ლარით გაიზარდა

მიმდინარე წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, საარსებო მინიმუმი 1,70 ლარით გაიზარდა.

კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ნოემბერში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 175.7 ლარს შეადგენდა. ოქტომბერში კი აღნიშნული მაჩვენებელი 174 ლარი იყო.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გასულ თვეში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 14,30 ლარით არის გაზრდილი. კერძოდ, 2016 წლის ნოემბერში იგივე მონაცემი 161.4 ლარს შეადგენდა.

საქსტატის მონაცემებით, წინა თვესთან შედარებით, ნოემბერში 1,60 ლარით არის გაზრდილი საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი. კერძოდ, წინა თვეში ეს მონაცემი 155.7 ლარი; ხოლო 2017 წლის ოქტომბერში 154.1 ლარი იყო.

რაც შეეხება საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმს, ნოემბერში, ოქტომბერთან შედარებით, 2,90 ლარით გაიზარდა და 294.8 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი წინა წლის ნოემბრის მონაცემთან შედარებით, 24,10 ლარით არის გაზრდილი.

ოჯახის ტიპების მიხედვით საარსებო მინიმუმი ნოემბერში ასე გადანაწილდა: ერთსულიანი ოჯახი -155,70 ლარი; ორსულიანი ოჯახი – 249,10 ლარი, სამსულიანი ოჯახი – 280,20 ლარი; ოთხსულიანი ოჯახი – 311,30 ლარი; ხუთსულიანი ოჯახი – 350,20 ლარი; ექვსსულიანი ოჯახი – 414,10 ლარი.

სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში პირს საქართველოს მოქალაქეობა აღარ შეუწყდება

პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, აპრილის თვეში დადგინდება პირობები, რომლის თანახმად, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება აპრიორი საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველი არ გახდება.

როგორც კობახიძე პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, დეპუტატ სალომე ზურაბიშვილის ინიციატივა იყო, რომ ახალი რეგულაცია მოქალაქეობის შეთავსების თაობაზე იმაზე ადრე ამოქმედებულიყო, ვიდრე კონსტიტუციის სხვა რეგულაციები.

ახალმიღებულ კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებებით, კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი პროექტის გამოქვეყნებისთანავე შედის ძალაში.

ტრამპმა თავდაცვის ბიუჯეტს ხელი მოაწერა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავდაცვის ბიუჯეტს ხელი მოაწერა. ამრიგად, დოკუმენტი ძალაში შევიდა.

ბიუჯეტი იმგვარადაა შედგენილი, რომ აშშ-მ რუსეთის აგრესია გაანეიტრალოს. თავდაცვაზე 692 მილიარდია გამოყოფილი. გარკვეული თანხა ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვისაა განკუთვნილი. 350 მილიონს მიიღებს უკრაინა, რათა არმიისა და უშიშროების სექტორის რეფორმირება მოახდინოს.

მოლდოვას ევროკავშირში შესვლა სურს

მოლდოვის პრეზიდენტად პრორუსული ორიენტაციის დოდონის არჩევის შემდეგ ქვეყანაში მდგომარეობა შეიცვალა. დოდონის აშკარა რუსოფილურმა რიტორიკამ

პრორუსულ ლობის დათვური სამსახური გაუწია. თუ 2016 წლის დეკემბერში მოლდოვის მოსახლეობის 42%-ს ევროკავშირში შესვლა სურდა, 44%-ს კი – ევრაზიულ კავშირში, ახლა მოსახლეობის 38% მხარს ევროკავშირში გაწევრიანებას უჭერს, 32% კი ევრაზიული კავშირისაკენ მიისწრაფვის.

პროდასავლური ორიენტაციის მომხრენი დედაქალაქში ჭარბობენ. კიშინეუში ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს 40% უჭერს, ევრაზიულ კავშირში კი – 10%. განსხვავებული სურათია პროვინციაში, სადაც ევრაზიულ კავშირში შესვლის მომხრეთა რაოდენობა 37%-ია. მიუხედავად ამისა, მთლიანად ქვეყანაში უმრავლესობა ევროკავშირში შესვლას მოითხოვს.

სანკტ-პეტერბურგში ტერორისტული დაჯგუფების 7 წევრი დააკავეს

სანკტ-პეტერბურგში ტერაქტის მომზადების ბრალდებით ტერორისტული დაჯგუფების 7 წევრი დააკავეს. ამის შესახებ რუსეთის უშიშროების ფედერალური ბიუროს საზოგადოებრივი კავშირების ცენტრი იუწყება.

„ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად უშიშროების ფედერალურმა ბიურომ სანკტ-პეტერბურგში გამოავლინა და აღკვეთა ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერთა დაჯგუფების კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. დაჯგუფების მართვა საზღვარგარეთიდან ინტერნეტ-მესენჯერის ტელეგრამის საშუალებით ხორციელდებოდა“, – განაცხადეს უშიშროების ფედერალურ ბიუროში.

უწყების ინფორმაციით, დაკავებული პირები 16 დეკემბერს თვითმკვლელი ტერორისტის მონაწილეობით ერთ-ერთ საკულტო დაწესებულებაში ტერორისტული აქტის მოწყობას გეგმავდნენ.

ულიუკაევს 8 წელი და 130 მილიონი რუბლის გადახდა მიუსაჯეს

„სეჩინი ღვინის ჩუქებას დამპირდა და ჩანთაში ფული კი არა, ღვინო მეგულებოდა“

მოსკოვის ზამოსკვორეცკის რაიონულმა სასამართლომ ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი ალექსეი ულიუკაევი მექრთამეობაში ბრალდებულად ცნო, სასჯელის სახით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 130 მილიონი რუბლის ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

– ულიუკაევის ბრალი მდგომარეობს იმაში, რომ თანამდებობაზე ყოფნის დროს მან ქრთამი აიღო, – განაცხადა მოსამართლე ლარისა სემიონოვამ.

პროკურატურა სასჯელის სახით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 10 წლით თავისუფლების აღკვეთასა და 500 მილიონი რუბლის ოდენობის ჯარიმის დაკისრებას ითხოვდა.

გამოძიების ვერსიით, მან კომპანია „როსნეფტის“ ხელმძღვანელ იგორ სეჩინისგან კომპანია „ბაშნეფტის“ ყიდვისთვის საჭირო დასკვნის სანაცვლოდ 2 მილიონი დოლარი მოითხოვა. ულიუკაევი კი ამტკიცებს, რომ სეჩინი მას ღვინის ჩუქებას დაჰპირდა და ფულით სავსე ჩანთაში მას სწორედ ღვინის ბოთლები ეგულებოდა.

საფრანგეთში მატარებელი სკოლის ავტობუსს შეეჯახა

14 დეკემბერს საფრანგეთის ქალაქ პერპინიანში მატარებლისა და სასკოლო ავტობუსის შეჯახებას მსხვერპლი მოჰყვა. უბედური შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც სკოლის ავტობუსი რელსებზე გადადიოდა. მატარებლის შეჯახების შედეგად ავტობუსი ორ ნაწილად გაიყო.

დაღუპულია 6 ბავშვი. 2 მათგანი საავადმყოფოში მიღებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სირია: ომი დასრულდა, პრობლემები დარჩა

თურქი ექსპერტი: „პუტინის აზრით, რუსეთი სირიაში ისეთივე გამარჯვებულია, როგორც საქართველოსა და უკრაინაში“

მარიამ მჭედლიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ სირიაში ომი დასრულებულად გამოცხადდა, ახლო აღმოსავლეთი რჩება მსოფლიოს ცხელ წერტილად. სირიაში სტაბილურობას ომის შემდეგ არ ელიან. ვითარება რეგიონში ასევე გაამწვავა აშშ-ის პრეზიდენტის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალად გამოცხადებამ. ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა ევროპა. არაბულმა ქვეყნებმა, ამის საპასუხოდ, პალესტინის სახელმწიფოდ ცნობა და მის დედაქალაქად აღმოსავლეთ იერუსალიმის აღიარება მოითხოვეს.

თურქი ექსპერტი ქემალ ინატი აანალიზებს მდგომარეობას სირიაში ომის დამთავრების შემდეგ. იგი არ მიიჩნევს, რომ რუსეთმა გამარჯვება მოიპოვა სირიაში.

მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტი რუსეთს ამ ომში გამარჯვებულად მიიჩნევს. ვლადიმერ პუტინის აზრით, რუსეთი სირიაში ისეთივე გამარჯვებულია, როგორც საქართველოსა და უკრაინის ომებში.

ინატი, სხვების მსგავსად, თვლის, რომ სირიის პრობლემა გადაწყვეტილი ისევ არ არის. ამის გამო ღელავს სირიის პრეზიდენტი. რუსეთი სირიაში თავის ბაზებს ტოვებს, თუმცა, მისი მფარველობის ქვეშ მყოფი ასადი მაინც შეშფოთებულია.

სირიის ომმა, ქემალ ინატის შეფასებით, რუსეთს სარგებელიც მოუტანა და ზიანიც.

რუსეთისთვის პოზიტიურია ის, რომ ამ მოვლენების შედეგად მოსკოვი დაბრუნდა ახლო აღმოსავლეთში. რუსეთმა მოახერხა საკუთარი შეიარაღების უპირატესობის დემონსტრირება და მისი ექსპორტის ზრდა. კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში გამოჩენილმა აქტიურობამ მოსკოვის პრესტიჟი აამაღლა.

ნეგატიურ ფაქტორებს შორის ექსპერტი ასახელებს დანაკარგს, რომელიც სირიის ომის გამო განიცადა რუსეთის ეკონომიკამ და არმიამ.

რუსეთისთვის წამგებიანია, რომ სირიის პარტია „დემოკრატიულმა კავშირმა“, რომელსაც აშშ მფარველობს, ხელში ჩაიგდო მსხვილი ნავთობსაბადოები.

გარდა ამისა, რუსეთი რისკის წინაშეა იმის გამო, რომ ახლო აღმოსავლეთში არ დამთავრებულა გავლენების გადანაწილება.

რუსეთისთვის საზიანო იქნება, თუ ის თურქეთის სახით მოკავშირის მხარდაჭერას დაკარგავს. ეს მოხდება მაშინ, თუ მოსკოვი დათანხმდება „დემოკრატიული კავშირის“ მონაწილეობას სირიის ხალხთა კონგრესში.

„აზია თაიმსის“ აზრით, ახლო აღმოსავლეთში სიტუაცია უარესად დაიძაბა აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის ჰერბერტ მაკმასტერის განცხადების შემდეგ. მაკმასტერმა თურქეთსა და ყატარს რეგიონში ექსტრემისტული ისლამისტური იდეოლოგიის მთავარი სპონსორები უწოდა.

გამოცემის თქმით, ეს განცხადება გამაოგნებელია იმის გამო, რომ თურქეთი აშშ-ის მოკავშირე და ნატოს წევრია, ყატარში კი განთავსებულია აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობის შტაბი.

ავტორები ასკვნიან, რომ თურქეთს აღარ აქვს ნატოს წევრობის პრეტენზია. თურქეთის პრეზიდენტის მიზანია, გათავისუფლდეს აშშ-ის ჰეგემონიისაგან. ამის მიღწევა კი შეუძლებელია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში წევრობით. ერდოღანსა და პუტინს განზრახული აქვთ თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლა ახლო აღმოსავლეთში ვაშინგტონის ინტერესების საწინააღმდეგოდ. რუსეთი და თურქეთი აპირებენ გაიყვანონ გაზსადენი „თურქული ნაკადი“, რასაც ეწინააღმდეგება აშშ.

ამერიკელი ანალიტიკოსები არასწორად მიიჩნევენ, რომ აშშ ახლო აღმოსავლეთში აგრძელებს 20 წლის წინ შემუშავებული პროექტის განხორციელებას. მისი მიზანია რეგიონის გადაფორმატება.

ექსპერტების თქმით, ახლოაღმოსავლური ამერიკული პროექტი მოძველდა. მას შემდეგ მსოფლიო შეიცვალა. გაფორმდა შეთანხმება ირანის ბირთვული პროგრამის შეზღუდვის თაობაზე.

აშშ აცხადებს, რომ ირანი ბირთვული შეთანხმების პირობებს არ ასრულებს. ამას არ ეთანხმებიან შეთანხმების მონაწილე სხვა სახელმწიფოები. ვაშინგტონს სულ უფრო უჭირს ევროპული ქვეყნების დარწმუნება იმაში, რომ ირანის წინააღმდეგ მკაცრი სანქციებია გასატარებელი.

ამერიკელი ანალიტიკოსების შეფასებით, ვაშინგტონის არასწორი მიდგომები გამოიწვევს აშშ-ის ჩაბმას ახლო აღმოსავლეთის მრავალრიცხოვან კონფლიქტებში. ამერიკელები კი არ მოიწონებენ ამერიკელი ჯარისკაცების მსხვერპლს ამ რეგიონში.

ჩვენს საყვარელ

ნინო მაღალაშვილს

ვულოცავთ დამადგომის დღეს.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
დღეგრძელობას და ულევ
სიხარულს მის საყვარელ
ადამიანებთან ერთად.

სიყვარულით „ახალი თაობა“

მარადონა: „კრიშტიანო რონალდუ სისულელეებს ლაპარაკობს“

დიეგო მარადონამ კრიშტიანო რონალდუ გააკრიტიკა, რომელმაც თქვა, რომ ის საუკეთესო ფეხბურთელია მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

მარადონას აზრით, ასეთი განცხადება მისთვის მიუღებელია.

– რონალდუს გადაეცით, რომ სისულელეების ლაპარაკს მოეშვას, რადგან ამით ის ხალხს თავს აბეზრებს. არავინ უნდა თქვას, რომ ის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეა, – განაცხადა დიეგო მარადონამ.

ერთი კვირის წინ რონალდუმ ოქროს ბურთი მეხუთედ მოიგო და ამ მაჩვენებლით ის ლიონელ მესის გაუტოლდა.

ლევან მჭედლიძემ ტრავმა მოიშუშა

ემპოლის და საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ლევან მჭედლიძემ ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და მალე ის მოედანს დაუბრუნდება. ემპოლი ამჟამად სერია ბ-ში თამაშობს და მჭედლიძეს დახმარება ამ გუნდს ძალიან სჭირდება იმისთვის, რომ უმაღლეს ლიგაში დაბრუნდეს.

ლევანს ტრავმები ძალიან ხშირად აწუხებს ხოლმე, რის გამოც მან ვერ შეძლო თავისი პოტენციალის ბოლომდე გამოვლენა. ზაფხულში მჭედლიძის შეძენა ბოლონიას სურდა, მაგრამ საბოლოოდ მხარეები ვერ შეთანხმდნენ და ტრანსფერი ჩაიშალა.

ივან რაკიტიჩმა რეალთან შეხვედრაზე ისაუბრა

ბარსელონას ხორვატმა ნახევარმცველმა ივან რაკიტიჩმა რეალთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ვიღაცას ძალიან სევდიანი ახალი წელი ელის. რაკიტიჩმა სავარაუდოდ მადრიდის რეალი იგულისხმა.

– ალბათ ეს ახალი წელი ვინმესთვის სევდიანი იქნება. ეს, ცხადია, ხუმრობით, ხოლო რაც შეეხება შეხვედრას, რეალის წინააღმდეგ ყოველთვის ბოლომდე კონცენტრირებული გავდივართ მოედანზე და ეს მატჩი ძალიან მძიმე იქნება. რეალი ისევ ძლიერი გუნდია, – განაცხადა ივან რაკიტიჩმა.

რეალი ბარსელონას საკუთარ მოედანზე 23 დეკემბერს მიიღებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ედინ ჯეკო — სიკვდილს გადარჩენილი ფეხბურთელი

90-იანი წლების გამოვლილ ქართველებს რა უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ ედინ ჯეკოს ისტორია სხვა რეალობაა...

ედინს ბავშვობაშიც ძალიან უყვარდა ფეხბურთის თამაში, მაგრამ, როგორც ჩანს, დედას უფრო უყვარდა თავისი პატარა. რა წინათგრძნობა ჰქონდა, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთხელ 7 წლის ედინი ეზოში ბურთის სათამაშოდ არ ჩაუშვა და, დიდი ალბათობით, სიკვდილს გადაარჩინა. მაშინ მოედანზე ჭურვები ჩააგდეს და რამდენიმე ბავშვი გარდაიცვალა, რამდენიმე კი დასახიჩრდა. საერთოდ, ბოსნიელი მუსლიმებისა და ქრისტიანების ომში 100.000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ედინის ოჯახი სარაევოს მახლობლად ცხოვრობდა. მამა ფრონტზე იყო, თავად ცხოვრება კი ჯოჯოხეთად ექცა. ისევე, როგორც მრავალ თანატოლს, მასაც წაართვეს ბავშვობა, ხშირად საჭმელი არ ჰქონდა და ტიროდა. არ უყვარს იმ პერიოდის გახსენება, 3 წელი ნორმალური ცხოვრება არ ჰქონდათ და ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწიათ.

არც საფეხბურთო კარიერის დასაწყისი ჰქონდა აწყობილი. სარაევოს ჟელეზნიჩარის ძირითად შემადგენლობაში 18 წლის ასაკში შემტევ ნახევარმცველად დაიწყო თამაში. მოუქნელობის გამო ყველა დასცინოდა, მეტსახელად განათების ბოძიც კი შეარქვეს, 3 სეზონში 40 მატჩში მხოლოდ 5 გოლი გაიტანა. მერე თავიდან მოიცილეს, ჩეხეთის მეორე ლიგის უსტი ნად ლაბემში გაუშვეს იჯარით, შემდეგ კი ტეპლიცეს 25.000 ევროდ მიჰყიდეს. სარაევოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახარებული ამბობდა, ეს იგივეა, ლატარია რომ მოიგოო.

სინამდვილეში ლატარია ედინმა მოიგო. ბევრს ვარჯიშობდა, ტეპლიცეში ცენტრფორვარდად დააყენეს და 2006-07 წლების სეზონში 13 გატანილი გოლით ჩეხეთის ჩემპიონატის ვიცებომბარდირი გახდა. მალე ჯეკო ვოლფსბურგმა, რომლის მწვრთნელი ფელიქს მაგათი იყო, 4 მილიონ ევროდ შეიძინა.

რა მოხდა შემდეგ? 2 სეზონში 54 გოლი გაიტანა, კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა და უკვე მანჩესტერ სიტიმ იყიდა. სიტიში 5 სეზონი გაატარა და 130 მატჩში 50 გოლი გაიტანა. ახლა რომაშია... პირველ სეზონში 31 გოლი გაიტანა, მეორეში – 37 და ფრანჩესკო ტოტის რეკორდი დაამხო.

მასზე ხშირად ამბობენ, რომ საშუალო დონის ფეხბურთელია. ამას ამბობენ ფორვარდზე, რომელიც კონკურენციას უწევდა აგუეროს, ბალოტელის, ტევესსა და ნეგრედოს. რომაში ჯეკოს გუნდში ადაპტირებაში ძალიან ეხმარება ის, რომ უცხო ენებს ადვილად სწავლობს: თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად, გერმანულად და ჩეხურად და იტალიურიც თითქმის ისწავლა.

ჯეკოს სამშობლოში აღმერთებენ, ხშირად კითხულობს ლექციებს სკოლებსა და უნივერსიტეტებში, მიაჩნია, რომ არ შეიძლება ეროვნული ნიშნით ადამიანების გაყოფა, რომ ბოსნიელმა და ბოსნიელმა ხორვატმა ბავშვებმა სხვადასხვა სკოლაში არ უნდა ისწავლონ და მოუწოდებს ყველას ამ პრობლემის აღმოფხვრისაკენ.

გადაიტანა ომი და ახლობლების გარდაცვალება და როგორ გახდა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი? ყველაფერი მარტივადაა – უბრალოდ, უზომოდ უყვარს ფეხბურთი, უყურებს ყველა ლიგების მატჩებს, უყურებს სახლში, ავტობუსში, საწვრთნელ ბაზაზე და ა.შ. ეს ძალიან ეხმარება, რადგან იცის, ვის რა მინუსი აქვს და ვის რა პლუსი. ჰოდა, გააქვს გოლები: ამ სეზონში იტალიის ჩემპიონატის 10 მატჩში 7-ჯერ დაამწუხრა მეტოქეთა მეკარეები.

– ფეხბურთი ჩემი პირველი და ყველაზე დიდი სიყვარულია. მის გარეშე სიცოცხლეს აზრი არ ექნებოდა. სწორედ ამიტომ ვარ ბედნიერი და ყველას ამიტომ ვუყვარარ, – ამბობს ჯეკო.

მას ძალიან აღელვებს სამშობლოს ბედი. ამას ყოველ ინტერვიუში აღნიშნავს, ამბობს, რომ ბოსნია მთელ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქვეყანაა, თუმცა არ ვითარდება, ხალხს უჭირს ცხოვრება, არ არის სამუშაო. ამას 2014 წელს წყალდიდობაც დაემატა, დაიტბორა სარაევოს ნაწილი. მაშინ ედინმა საქველმოქმედო მატჩი ჩაატარა და თანამემამულეებს დაეხმარა, ჩივის, რომ ეს საკმარისი არაა, ახალგაზრდობა იძულებულია, სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდეს და ყველაფერი ჩინოვნიკების ბრალია.

მიუხედავად მძიმე ბავშვობისა, სხვა ბალკანელების მიმართ ზიზღი არ აქვს, მეგობრობს ჩერნოგორიელ იოვეტიჩთან და სერბებთან – ნასტასიჩთან და კოლაროვთან. მისი თქმით, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რომელი სარწმუნოებისაა, მთავარია, კარგი ადამიანი იყო, კარგი და ცუდი კი ყველგანაა...

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

გერმანიაში ავტოინდუსტრიული დერბია

ევროპაში მეტ-ნაკლებად მშვიდი ტური და ხიგითი მატჩებია. ეთთადეთთი გამოსახჩევი შტუტგახტი-ბაიეხნია, ახა იმიტომ, ხომ სატუხნიხო ცხხიღში ჰხინციპული შეხვედხაა. ახა, ეს ავტოინდუსტხიული დეხბია – მეხსედესი შინ დაუხვდება ბეემვეს...

ინგლისი

16.12 ლესტერი-კრ.პალასი	1.8	3.6	4.33
16.12 ჩელსი-საუთჰემპტონი	1.36	4.8	8.5
16.12 სტოკი-ვესტ ჰემი	2.15	3.3	3.4
16.12 ბრაიტონი-ბარნლი	2.45	3.0	3.1
16.12 არსენალი-ნიუკასლი	1.25	6.0	11.0
16.12 უოტფორდი-ჰადერსფილდი	1.73	3.6	
16.12 სიტი-ტოტენჰემი	1.5	4.4	6.0
17.12 ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი	6.0	4.0	1.55
17.12 ბორმნუთი-ლივერპული	6.0	4.4	1.5
18.12 ევერტონი-სუონსი	1.75	3.5	5.0

ლესტერი-კრ.პალასი

ლესტერი: ***ტრავმ***-მატ ჯეიმსი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-დამიენ დელანეი, მამადუ სახო, ჯოელ უორდი, ლი ჩუნგ-იონგი

ჩელსი-საუთჰემპტონი

ჩელსი: ***ტრავმ***-დავიდ ლუიზი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

სტოკი-ვესტ ჰემი

სტოკი: ***ტრავმ***-კურტ ზუმა, ბრუნო მარტინს ინდი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ედიმილსონ ფერნანდესი, ხოსე ფონტე, ჯეიმს კოლინზი

ბრაიტონი-ბარნლი

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

ბარნლი: ***ტრავმ***-რობი ბრეიდი, ჯონათან უოლტერსი, ტომ ჰატონი

არსენალი-ნიუკასლი

არსენალი: ***ტრავმ***-აარონ რემზი, შკოდრან მუსტაფი, სანტი კაზორლა

ნიუკასლი: ***ტრავმ***-არავინ

უოტფორდი-ჰადერსფილდი

უოტფორდი: ***ტრავმ***-სტეფანო ოკაკა, მიგელ ბრიტოსი,ნათან ჩალობა, იუნის კაბული

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ფილიპ ბილინგი, მაიკლ ჰეფელე

სიტი-ტოტენჰემი

სიტი: ***ტრავმ***-ვინსენტ კომპანი, ჯონ სტოუნზი, ბენჯამინ მენდი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ტობი ალდერვაირელდი, ვიქტორ ვანიამა

ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-კრეიგ დაუსონი, ჯეიმს მორისონი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ერიკ ბეილი

ბორმნუთი-ლივერპული

ბორმნუთი: ***ტრავმ***-ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯოელ მატიპი

ევერტონი-სუონსი

ევერტონი: ***ტრავმ***-ლეიტონ ბაინესი

სუონსი: ***ტრავმ***-კილი ბარტლი

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	17	16	1	0	52-11	49
2.მანჩესტერი	17	12	2	3	37-11	38
3.ჩელსი	17	11	2	4	31-14	35
4.ტოტენჰემი	17	9	4	4	30-14	31
5.ლივერპული	17	8	7	2	34-20	31
6.ბარნლი	17	9	4	4	16-12	31
7.არსენალი	17	9	3	5	30-20	30
8.ლესტერი	17	7	5	5	27-23	26
9.უოტფორდი	17	6	4	7	26-29	22
10.ევერტონი	17	6	4	7	21-29	22
11.საუთჰემპტონი	17	4	6	7	17-23	18
12.ჰადერსფილდი	17	5	3	9	12-29	18
13.ბრაიტონი	17	4	5	8	14-23	17
14.ბორნმუთი	17	4	4	9	15-20	16
15.სტოკი	17	4	4	9	19-36	16
16.ნიუკასლი	17	4	3	10	16-26	15
17.ვესტ ბრომვიჩი	17	2	8	7	12-22	14
18.კრ.პალასი	17	3	5	9	12-28	14
19.ვესტ ჰემი	17	3	5	9	14-32	14
20.სუონსი	17	3	3	11	9-22	12

ესპანეთი

16.12 ბილბაო-სოსიედადი	2.15	3.3	3.4
16.12 ეიბარი-ვალენსია	2.87	3.4	2.37
16.12 ატალეტიკო-ალავესი	1.17	6.5	21.0
17.12 ხირონა-ხეტაფე	2.05	3.4	3.6
17.12 სელტა-ვილიარეალი	2.37	3.2	3.1
17.12 ლას პალმასი-ესპანიოლი	2.5	3.3	2.8
17.12 ბარსელონა-დეპორტივო	1.07	12.0	23.0
18.12 მალაგა-ბეტისი	2.15	3.4	3.3

ბილბაო-სოსიედადი

ბილბაო: ***ტრავმ***-ანდერ იტურასპე, ბენატ ეჩებერია, იკერ მუნიანი

სოსიედადი:***ტრავმ***-კევინ როდრიგესი

ეიბარი-ვალენსია

ეიბარი: ***ტრავმ***-დავიდ იუნკა, კრისტიან რივერა

ვალენსია: ***ტრავმ***-ეზეკიელ გარაი, გონსალო გუედესი, ჯეისონ მურილიო

ატალეტიკო-ალავესი

ატალეტიკო: ***ტრავმ***-ნიკოლას გაიტანი, ანტუან გრიზმანი

ალავესი:***ტრავმ***-რუბენ სობრინო, როდრიგო ელი, ექტორი

ხირონა-ხეტაფე

ხირონა: ***ტრავმ***-ბერნარდო, მარკ მუნიესა, ლარი კაიოდე, პედრო ალკალა

ხეტაფე: ***ტრავმ***-სერხიო მორა

სელტა-ვილიარეალი

სელტა: ***ტრავმ***-სერხი გომესი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ნიკოლა სანსონე, დენის ჩერიშევი, სამუ, ლეო სუარესი, ანდრეს ფერნანდესი

ლას პალმასი-ესპანიოლი

ლას პალმასი:***ტრავმ***-პედრო ბიგასი, ვიტოლო, მომო ფიგუერა, ალენ ჰალილოვიჩი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-სერხიო გარსია

ბარსელონა-დეპორტივო

ბარსელონა:***ტრავმ***-სამუელ უმტიტი, ხავიერ მასკერანო, ოსმან დემბელე, რაფინია

დეპორტივო:***ტრავმ***-ფედე კარტაბია, ბრუნო გამა

მალაგა-ბეტისი

მალაგა: ***ტრავმ***-დიეგო როლანი, ხუანკარი, მიგელ ტორესი, ფედერიკო რიკა

ბეტისი:***ტრავმ***-ანტონიო სანაბრია, ფაბიან რუიზი, ჯოელ კემბელი

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	14	11	3	0	36-7	36
2.ვალენსია	15	10	4	1	35-14	34
3.რეალი	15	9	4	2	30-11	31
4.ატლეტიკო	14	8	6	0	23-7	30
5.სევილია	15	9	1	5	19-19	28
6.ვილიარეალი	14	6	3	5	22-18	21
7.ხეტაფე	15	5	5	5	20-15	20
8.ლეგანესი	15	6	2	7	12-14	20
9.ხირონა	15	5	5	5	19-22	20
10.სოსიედადი	15	5	4	6	28-28	19
11.სელტა	15	5	3	7	27-23	18
12.ბეტისი	14	5	3	6	23-28	18
13.ეიბარი	15	5	3	7	16-27	18
14.ლევანტე	14	3	7	4	14-20	16
15.ესპანიოლი	15	4	4	7	11-19	16
16.დეპორტივო	15	4	3	8	18-27	15
17.ბილბაო	14	3	5	6	14-18	14
18.ალავესი	15	4	0	11	12-24	12
19.მალაგა	15	3	2	10	13-28	11
20.ლას პალმასი	15	3	1	11	11-34	10

გერმანია

16.12 კიოლნი-ვოლფსბურგი	3.5	3.3	2.1
16.12 შტუტგარტი-ბაიერნი	9.0	5.0	1.33
16.12 აუგსბურგი-ფრაიბურგი	1.67	3.8	5.0
16.12 ვერდერი-მაინცი	1.91	3.5	4.0
16.12 აინტრახტი-შალკე	2.5	3.2	2.87
16.12 დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი	1.5	4.75	5.5
17.12 ჰანოვერი-ლევერკუზენი	3.6	3.75	1.95
17.12 ლაიპციგი-ჰერტა	1.55	4.2	5.5

ჯიოლნი-ვოლფსბურგი

კიოლნი: ***ტრავმ***-კლაუდიო პიზარო, კონსტანტინ რაუხი, ლეონარდო ბიტენკურტი, იუია ოსაკო, ჯონ კორდობა, დომინიკ მარო, სიმონ ზოლერი, მარსელ რიისე, მარკო ჰოგერი, ჯონათან ექტორი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-იაკუბ ბლაჩიკოვსკი, იგნასიო კამაჩო

შტუტგარტი-ბაიერნი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-დენის ბურნიჩი, დანიელ გინსეკი, მატიას ციმერმანი

ბაიერნი: ***ტრავმ***-სვენ ულრიხი, ხუან ბერნატი, არიენ რობენი, ტიაგო ალკანტარა, მანუელ ნოიერი

აუგსბურგი-ფრაიბურგი

აუგსბურგი:***ტრავმ***-კონსტანტინოს სტაფილიდისი, იან მორავეკი, ერიკ ტომი

ფრაიბურგი:***ტრავმ***-ფილიპ ლენარტი, მარკ-ოლივერ კემპი, მაიკ ფრანცი, ფლორიან ნიდერლეხნერი

ვერდერი-მაინცი

ვერდერი: ***ტრავმ***-ლუკა კალდიროლა, ფინ ბარტელსი, არონ იოჰანსონი, მაქსიმილიან ეგეშტეინი

მაინცი: ***ტრავმ***-რენე ადლერი, კარიმ ონისივო

აინტრახტი-შალკე

აინტრახტი:***ტრავმ***-ჯონათან დე გუზმანი

შალკე: ***ტრავმ***-ლეონ გორეცკა, ნაბილ ბენტალები

დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი

დორტმუნდი:***ტრავმ***-ანდრე შიურლე, მაქსიმილიან ფილიპი, გონსალო კასტრო, მარიო გიოტცე, ლუკაშ პიშჩეკი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ფელიქს პასლაკი

ჰანოვერი-ლევერკუზენი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ჯონატასი, ფელიპე

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ჩარლიზ არანგისი

ლაიპციგი-ჰერტა

ლაიპციგი: ***ტრავმ***-მარსელ საბიცერი

ჰერტა: ***ტრავმ***-ვალენტინ შტოკერი, ვლადიმირ დარიდა

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	16	12	2	2	36-11	38
2.შალკე	16	8	5	3	26-19	29
3.ლაიპციგი	16	8	4	4	25-22	28
4.ლევერკუზენი	16	7	6	3	30-19	27
5.ჰოფენჰაიმი	16	7	5	4	26-20	26
6.დორტმუნდი	16	7	4	5	37-23	25
7.აინტრახტი	16	7	4	5	18-16	25
8.გლადბახი	16	7	4	5	24-27	25
9.აუგსბურგი	16	6	5	5	24-20	23
10.ჰანოვერი	16	6	4	6	20-22	22
11.ჰერტა	16	5	6	5	23-23	21
12.ვოლფსბურგი	16	3	10	3	21-20	19
13.ფრაიბურგი	16	4	6	6	14-28	18
14.შტუტგარტი	16	5	2	9	13-20	17
15.მაინცი	16	4	4	8	17-26	16
16.ჰამბურგი	16	4	3	9	14-22	15
17.ვერდერი	16	3	5	8	11-18	14
18.კიოლნი	16	0	3	13	9-32	3

იტალია

16.12 ინტერი-უდინეზე	1.33	5.0	9.0
16.12 ტორინო-ნაპოლი	4.75	4.0	1.67
16.12 რომა-კალიარი	1.25	6.0	11.0
17.12 ვერონა-მილანი	5.0	4.2	1.61
17.12 სამპდორია-სასუოლო	1.75	4.0	4.2
17.12 ბოლონია-იუვენტუსი	7.5	4.33	1.44
17.12 ფიორენტინა-ჯენოა	1.55	4.0	6.0
17.12 კროტონე-კიევო	3.1	3.1	2.4
17.12 ბენევენტო-სპალი	2.87	3.2	2.5
17.12 ატალანტა-ლაციო	2.4	3.4	2.87

ინტერი-უდინეზე

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

უდინეზე: ***ტრავმ***-ვალონ ბეჰრამი, ემილ ჰალფრედსონი

ტორინო-ნაპოლი

ტორინო: ***ტრავმ***-ჯოელ ობი, კრისტიან ანსალდი, მაბიე ნიანგი, სადიქ უმარი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლორენცო ინსინიე, არკადიუშ მილიკი

რომა-კალიარი

რომა: ***ტრავმ***-გრეგუარ დეფრელი

კალიარი: ***ტრავმ***-ლუკა გროსტა

ვერონა-მილანი

ვერონა: ***ტრავმ***-ბრუნო ზუჩულინი, ჯანპაოლო პაცინი, მატია ძაგანი, მოის კინი

მილანი: ***ტრავმ***-ჰაკან ჩალჰანოღლუ, ანდრეა კონტი

სამპდორია-სასუოლო

სამპდორია:***ტრავმ***-კაროლ ლინეტი

სასუოლო:***ტრავმ***-სტეფანო სენსი, დავიდ ბიონდინი, კლოდ აჯაპონგი, ტიმო ლეხტერი

ბოლონია-იუვენტუსი

ბოლონია:***ტრავმ***-როდრიგო პალასიო, ფედერიკო დი ფრანჩესკო, ფილიპ ჰელანდერი, ხუან მანუელ ვალენსია

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ჯანლუიჯი ბუფონი, შტეფან ლიხშტეინერი

ფიორენტინა-ჯენოა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-დავიდ ასტორი, სიმონე ლო ფასო, რაფიკ ზეჰნინი

ჯენოა: ***ტრავმ***-ანდრეი გალაბინოვი, რაფაელ პალადინო, პეტერ ბრლეკი, პიეტრო პელეგრი, ადელ ტაარტი, მიგელ ველოსო, არმანდო იზზო, გორან პანდევი

კროტონე-კიევო

კროტონე: ***ტრავმ***-ანდრეა ნალინი, მარიანო ისკო, ოლივერ კრაგლი, მარკო ტუმინელო

კიევო: ***ტრავმ***-პერპარიმ ჰატემაი, ნიკოლა რიგონი, ლუკას კასტრო

ბენევენტო-სპალი

ბენევენტო: ***ტრავმ***-კრისტიანო ლომბარდი, აჩრაფ ლაზაარი, პიეტრო იემელო

სპალი: ***ტრავმ***-ფელიპო კოსტა

ატალანტა-ლაციო

ატალანტა: ***ტრავმ***-მარტენ დე როონი

ლაციო: ***ტრავმ***-ლუკას ლეივა, ნანი, დავიდე დი ჯენარო

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	16	12	4	0	33-10	40
2.ნაპოლი	16	12	3	1	35-10	39
3.იუვენტუსი	16	12	2	2	41-14	38
4.რომა	15	11	2	2	27-10	35
5.ლაციო	15	10	2	3	36-19	32
6.სამპდორია	15	8	3	4	30-22	27
7.მილანი	16	7	3	6	23-21	24
8.ატალანტა	16	6	5	5	23-20	23
9.ტორინო	16	5	8	3	22-22	23
10.ფიორენტინა	16	6	4	6	26-19	22
11.ბოლონია	16	6	3	7	19-20	21
12.კიევო	16	5	6	5	17-26	21
13.უდინეზე	15	6	0	9	23-24	18
14.კალიარი	16	5	2	9	16-27	17
15.სასუოლო	16	4	2	10	10-28	14
16.ჯენოა	16	3	4	9	14-22	13
17.კროტონე	16	3	3	10	12-32	12
18.სპალი	16	2	5	9	15-28	11
19.ვერონა	16	2	4	10	14-32	10
20.ბენევენტო	16	0	1	15	8-38	1

საფრანგეთი

16.12 რენი-პსჟ	13.0	6.5	1.2
16.12 მონპელიე-მეცი	1.44	4.2	7.5
16.12 სტრასბური-ტულუზა	2.1	3.25	3.6
16.12 კაენი-გენგამი	2.15	3.25	3.5
16.12 ტრუა-ამიენი	2.3	3.1	3.3
16.12 დიჟონი-ლილი	2.25	3.25	3.25
17.12 ნანტი-ანჟე	2.0	3.25	4.0
